პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი,
5
აგვისტო
1935 წ.
№ 181 (4337)

„კომუნისტებს ზედმეტად მიაჩნიათ თავიანთი შეხედულებათა და ზრახვათა დამალვა. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნები მიღწეული იქნება მხოლოდ მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებითი დამხობის გზით. დაე, გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის წინაშე. ამ რევოლუციაში პროლეტარებს თავისი ბორკილების გარდა დასაკარგი არაფერი აქვთ. მოიპოვებენ კი მთელს მსოფლიოს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

(კ. მარქსი და ფრ. ენგელსი—„მანიფესტი კომუნისტური პარტიისა").

ორმოცი წელი ფრიდრიხ ენგელსის გარდაცვალებიდან

1895 $\frac{5}{VIII}$ 1935

ფრიდრიხ ენგელსი

ვ. ლენინის წერილიდან

Какой светильник разума погас,
Какое сердце биться перестало!

1895 წელს, ახალის სტილით აგვისტოს 5-ს (ივლისის 24-ს) ლონდონში გარდაიცვალა ფრიდრიხ ენგელსი. თავისი მეგობრის კარლ მარქსის (რომელიც 1883 წელს გარდაიცვალა) შემდეგ ენგელსი მთელს განათლებულს კაცობრიობაში ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი და თანამედროვე პროლეტარიატის ყველაზე სახელოვანი მოძღვარი იყო. მას შემდეგ, რაც ბედმა კარლ მარქსი ფრიდრიხ ენგელს შეახვედრა, ამ ორი მეგობრის ცხოვრების გზა მათ საერთო საქმედ გახადა. ამიტომ იმის გასაგებად, თუ რა გააკეთა ფრიდრიხ ენგელსმა პროლეტარიატისათვის, საჭიროა ნათლად გვქონდეს შეთვისებული მარქსის მოძღვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობა თანამედროვე მუშათა მოძრაობის განვითარებაში. მარქსმა და ენგელსმა პირველებმა დაგვანახეს, რომ მუშათა კლასი თავისი მოთხოვნილებებით აუცილებელი შედეგია თანამედროვე ეკონომიური წყობილებისა, რომელიც ბურჟუაზიასთან ერთად აუცილებლად წარმოშობს და რაზმავს პროლეტარიატსაც. მათ დაგვანახეს, რომ კაცობრიობას ახლანდელ მძიმე უბედურებათაგან იხსნის არა ცალ-ცალკე კეთილშობილ პიროვნებათა კეთილისმყოფელი ზრახვები, არამედ დარაზმულ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა. თავის მეცნიერულ შრომებში პირველად მარქსმა და ენგელსმა განმარტეს, რომ სოციალიზმი მეოცნებე ხალხის გამოგონებული რამ კი არ არის, არამედ იგია თანამედროვე საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების საბოლოო მიზანი და აუცილებელი შედეგი. მთელი ისტორია, ვიდრე დღევანდლამდე, იყო კლასთა ბრძოლის ისტორია, სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა ერთი მეორეზე ბატონობისა და გამარჯვების შენაცვლება და ეს გაგრძელდება მანამდე, ვიდრე არ მოისპობა კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ბატონობის საფუძვლები — კერძო საკუთრება და უწესრიგო საზოგადოებრივი წარმოება. პროლეტარიატის ინტერესები ამ საფუძვლების მოსპობას მოითხოვს და ამიტომ შეკავშირებულ მუშათა შეგნებული კლასობრივი ბრძოლა ამ საფუძვლების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ხოლო ყოველივე კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა.

მარქსისა და ენგელსის ეს შეხედულებანი ამჟამად შეთვისებული აქვს მთელ იმ მებრძოლ პროლეტარიატს, რომელიც თავისი განთავისუფლებისათვის იბრძვის. მაგ-

გისა და განვითარების მუდმივი პროცესი სწარმოებსო, ბერლინელ ფილოსოფოსის იმ მოწაფეებს, რომელთაც არ სურდათ სინამდვილეს შეჰრიგებოდნენ, აღუძრავდა აზრს, რომ მარადიულ განვითარების მსოფლიო კანონში ჩამარხული ყოფილა აგრეთვე ბრძოლაც სინამდვილის წინააღმდეგ, ბრძოლა არსებულ უსამართლობისა და არსებულ ბოროტების წინააღმდეგ. თუ კი ყველაფერი განვითარებას განიცდის, თუ კი ერთ დაწესებულებას მეორე სცვლის, რატომ-ღა გაგრძელდება მარადიულად პრუსიის მეფის ან რუსეთის ხელმწიფის თვითმპყრობელობა, რატომ იარსებებს მუდმივად უმნიშვნელო უმცირესობის გამდიდრება უდიდეს უმრავლესობის ხარჯზე, რატომ იქნება უცვლელად ბურჟუაზიის ბატონობა ხალხზე? ჰეგელის ფილოსოფია ლაპარაკობდა სულისა და იდეების განვითარებაზე, იგი იყო **იდეალისტური** ფილოსოფია. სულის განვითარებიდან მას გამოჰყავდა ბუნების, ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება. მარქსმა და ენგელსმა მიიღეს ჰეგელის აზრი განვითარების მარადიულ პროცესის შესახებ *), მაგრამ უკუაგდეს იდეალისტური შეხედულება. ცხოვრებას რომ დააკვირდნენ, დაინახეს, რომ სულის განვითარება კი არ განმარტავს ბუნების განვითარებას, პირიქით სული ბუნებით, მატერიით უნდა განიმარტოს... წინააღმდეგ ჰეგელისა და სხვა ჰეგელიანებისა, მარქსი და ენგელსი მატერიალისტები იყვნენ. მატერიალისტურად შეხედეს მათ სამყაროსა და კაცობრიობას და დაინახეს, რომ როგორც ბუნების ყველა მოვლენათა წიაღში მატერიალური მიზეზები მარხია, ისე ადამიანთა საზოგადოების განვითარებაც მატერიალურ, საწარმოო ძალთა განვითარებით აიხსნება. საწარმოო ძალთა განვითარებაზეა დამოკიდებული ის ურთიერთობანი, რომელიც ადამიანთა შორის იქმნება საჭირო საგნების წარმოების დროს. და ამ ურთიერთ დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მოვლენის, ადამიანთა მისწრაფებისა, იდეებისა და კანონების განმარტება. საწარმოო ძალთა განვითარება ჰქმნის საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს, რომელიც კერძო საკუთრებაზეა დამყარებული. მაგრამ ჩვენ ვხედავთ თუ საწარმოო ძალების იგივე განვითარება, როგორ ართმევს უმრავლესობას კერძო საკუთრებას და როგორ უგ-



ფრიდრიხ ენგელსი

(გარდაცვალებიდან 40 წლისთავისათვის)

ფრიდრიხ ენგელსი მუდამ იხსენიება და არ შეიძლება არ იხსენიებოდეს მის განუყრელ მეგობარ კარლ მარქსთან ერთად როგორც მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელსაც ფასდაუდებელი ღვაწლი აქვს შეტანილი როგორც მარქსიზმის თეორიის შექმნასა და დასაბუთებაში, ისე, და კიდევ უფრო, მის დაცვასა და პოპულარიზაციაში. თავისი გენიოს მეგობრისადმი ისეთი პატივისცემის და მოკრძალების გრძნობით იყო იგი გამსჭვალული, რომ თავის თავს მხოლოდ მეორე დამკვრელის როლს აკუთვნებდა. მარქსი გენიოსი იყო, ჩვენ კი მხოლოდ ტალანტები ვართ, — ამბობდა ის უმაგალითო თავმდაბლობით და ამით უანგარობის შარავანდედით მოსავდა თავის საკუთარ ხანგრძლივ ნაყოფიერ ღვაწლს. ეს ღვაწლი კი განუყრელი, ორგანიული ნაწილია მარქსიზმისა და ეს უკანასკნელი ისევ არ წარმოიდგინება უენგელსოდ, როგორც არ წარმოიდგინება უმარქსოდ. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია ვიმოწმოთ მრავალი ფაქტი და გარემოება.

თვით მარქსი გენიალურ ნარკვევს უწოდებს ენგელსის მიერ 1844 წელს გამოქვეყნებულ შრომას ეკონომიური კატეგორიების შესახებ, სადაც ენგელსმა მარქსისაგან დამოუკიდებლად მიაღწია მარქსიზმის დედააზრს — ისტორიის მატერიალისტურ გაგებას. ასეთივე ხასიათისაა 1845 წელს გამოქვეყნებული მისი მეორე შრომა „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში", რომელსაც მარქსი ძალიან ხშირად ემყარება თავისი დებულებების დასამტკიცებლად და ნათელსაყოფად. ამის საფუძველზე ხდება მარქსის დაახლოვება ენგელსთან. ისინი პოულობენ ერთმანეთს როგორც თანამოაზრეები და მათ შორის მყარდება ისეთი მჭიდრო კავშირი, რომლის მსგავსი არ იცის ისტორიამ.

ამის შესახებ **ლენინი** ამბობს: „ძველი გადმოცემები მოგვითხრობენ გულითადი მეგობრობის მაგა-

გიას მოითხოვდა, რომ სრულიად სამართლიანად მიაკუთვნებენ ამ ორ ტომს მარქსსა და ენგელსს. ლენინს სწორად მიაჩნია ადლერის მიერ წარმოთქმული დებულება, რომ ამ ორი ტომის გამოცემით ენგელსმა თავის გენიალურ მეგობარს უდიდესი ძეგლი აუგო, რომელზედაც წაუშლელი ხაზებით უნებურად ამოსჭრა თავისი საკუთარი სახელი.

თუ მარქსისთვის ასე აუცილებელი იყო ენგელსის თანამშრომლობა, ეჭვს გარეშეა, რომ ენგელსი უფრო მეტად საჭიროებდა თავის მუშაობაში მარქსის ხელმძღვანელ როლს. მათშორის დამყარდა შრომის ერთგვარი დანაწილება, რომლის მიხედვით მარქსს უხდებოდა უფრო ეკონომიური მოძღვრების დასაბუთება, ხოლო ენგელსს — სოციალისტური და ფილოსოფიური მხარის დამუშავება. ენგელსს წესად ქონდა მიღებული, თითქმის ყველა თავისი დამოუკიდებელი ნაწარმოები მარქსისათვის გადაეცა დასადასტურებლად. ასეთია, მაგალითად, ენგელსის კაპიტალური შრომა ფილოსოფიის დარგიდან „ანტიდიურინგი"-ს სახელწოდებით,

იღებდა ენგელსი „კაპიტალის" და სხვა ნაწარმოებების შედგენის საქმეში თავისი თანამშრომლობით, რჩევის მიცემით, მასალების მიწვდით, მატერიალური დახმარებით და სხვ. „კაპიტალის" მეორე და მესამე ტომების გამოცემის სიმძიმე ხომ მთლად ენგელსს დააწვა. ეს არ იყო ადვილი საქმე. მართალია, ეს ტომები შავად შესრულებული იყო მარქსის მიერ, მაგრამ მათი გამზადება დასაბეჭდათ იმდენ ენერ-

პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა უხდებოდა მათ წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტმა (მოსკოვი) ბევრი რამ საყურადღებო გამოაქვეყნა ამ მხრივ. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ დამახასიათებელ ფაქტზე.

ცნობილია, რომ მარქსიზმის მოძღვრებაში უმთავრესია პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის დასა-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.).

5 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, პიონერთა და მოწაფეების კულტურისა და დასვენების პარკში (ყოფ. „არტო" — პლეხანოვის პროსპ. № 105) შესდგება კრება, მიძღვნილი

ენგელსის გარდაცვალების 40 წლისთავისთვის

ამხ. შარია წაიკითხავს მოხსენებას: **„ენგელსი, როგორც მარქსიზმის თეორეტიკოსი და რევოლუციური მარქსიზმისათვის მებრძოლი".**

შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

საქ. კ. პ. (ბ) ტ. კომიტეტი.

ორმოცი წელი ფრიდრიხ ენგელსის გარდაცვალებიდან

ბუთებას მთელი ძალღონით ემსახურებიან მარქსი და ენგელსი. გერმანიის სოციალდემოკრატიამ სრულიად განდევნა იგი ხმარებიდან თვით როგორც ცნება, როგორც ტერმინი. ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას მისდამი თვით ენგელსის სიცოცხლეში უჩენია თავი და ამის წინააღმდეგ ენგელსს გაულაშქრნია მარქსის ბროშურისათვის („სამოქალაქო ომი საფრანგეთში“) დაწერილ შესავალში. ენგელსი ასე ათავებს თავის წერილს:

„ამ ბოლო დროს სოციალდემოკრატიული ფილისტური ღვთაებრივი შიშის ძრწოლას განიცდის პროლეტარიატის დიქტატურის გაგონებაზე. ძალიან კარგი, ბატონებო: გნებავთ თუ არა იცოდეთ, როგორი სახისაა ეს დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას: ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა“.

სოციალდემოკრატიულ ფილისტერებს, უეჭველია, გულმუცლით აიმღვრეოდათ, როდესაც მარქსიზმის ფუძემდებელი ასეთ ბრალდებას წაუყენებდა მათ. ამიტომ მოხდა, რომ სოციალდემოკრატიულმა ფილისტერებმა ეს ვერ აიტანეს, სიტყვა „სოციალდემოკრატიული“ ამოშალეს, მის ნაცვლად სიტყვა „გერმანიელი“ ჩასწერეს და ამგვარად, თავისი საკუთარი ცოდვა სხვას გადააბრალეს. ამ ბოლო დრომდე ეს ადგილი სწორედ ასე უმსგავსოდ დამახინჯებული ფორმით იბეჭდებოდა და ქმნიდა იმის ილუზიას, თითქოს ენგელსის რისხვა მიმართული იყო არა სოციალდემოკრატიული ფილისტერების, არამედ გერმანელი ფილისტერების წინააღმდეგ.

ტყუილად არ უფრთხოდნენ მეორე ინტერნაციონალის „გმირები“ მარქს-ენგელსის მთელ რიგ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას: იქ მრავალი მოშხამული ისარია მათ წინააღმდეგ მიმართული. ტყუილად არ აგვიანებდნენ ისინი მარქს - ენგელსის მრავალტომიან მიწერ-მოწერის დაბეჭდვას: აქ ნათლად სჩანს, თუ საით იყო მიმართული მარქსიზმის ფუძემდებელთა მთელი გონებრივი მუშაობა, რომელიც ძირითად ეწინააღმდეგებოდა ამ მოძღვრების გამყალბებელთა ქვენა ანგარიშებს. „რომ შევეცადოთ — ერთი სიტყვით განვსაზღვროთ, ასე ვთქვათ, მთელი მიმოწერის ფოკუსი, — ის ცენტრალური პუნქტი, სადაც თავს იყრის იქ გამოთქმული და განხილული იდეების ქსელი, ეს სიტყვა იქნება დიალექტიკა. მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენება მთელი პოლიტიკური ეკონომიის, მისი საფუძვლითურთ გადამუშავებისათვის,—ისტორიის, ბუნებისმეცნიერების, ფილოსოფიის, მუშათა კლასის პოლიტიკის და ტაქტიკის გადამუშავებისათვის, — აი რა აინტერესებს ყველაზე მეტად მარქსსა და ენგელსს, აი რაში შეაქვთ მათ ყველაზე უფრო არსებითი და ყველაზე უფრო ახალი რამ, აი რაშია მათი გენიალური ნაბიჯი წინ რევოლუციური აზრის ისტორიაში“ (ლენინი).

სწორედ დიალექტიკის წინააღმდეგ მიიტანა პირველი იერიში ოპორტუნიზმის მამამთავარმა ბერნშტეინმა და ამის შემდეგ მას და მის თანამოაზრეებს არ გასძნელებიათ „შეემუსრათ“ და შეერყვნათ მარქსიზმის ყველა ძირითადი დებულებანი. მაგრამ მათ ვერ შესძლეს საბოლოოდ გამოეფიტათ, დაეჩლუნგებინათ მარქსიზმი, გადაექციათ იგი უშინაარსო ფრაზეოლოგიად, მასების მოსატყუებელ საშუალებად. ამ საფრთხეს ლენინმა გადაარჩინა იგი. ლენინმა მიიღო იგი სამემკვიდრეოდ, უფრო მეტიც, გაანაყოფიერა, — უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, ლენინიზმით გაამდიდრა და ამგვარად, მარქსიზმი შეიქნა ლენინიზმის საფუძველი, ლენინიზმი შეიქნა მარქსიზმის აუცილებელი შევსება. ეს მოხდა ახალ პირობებში, რომელსაც მარქსი და ენგელსი ვერ მოესწრებიან. როდესაც კაპიტალიზმი გადავიდა ახალ საფეხურზე და საჭირო შეიქნა მისი ახალი მარქსისტული ანალიზი, საჭირო შეიქნა იმპერიალიზმის გამოკვლევა, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიისა, როგორც მომაკვდავი კაპიტალიზმისა. ეს შეასრულა ლენინმა, როგორც დიდმა რევოლუციონერმა და დიდმა მოაზროვნემ. ხოლო რადგან სოციალისტურ რევოლუციით აღორძინებული მთელი თანამედროვე ცხოვრება მასების აღფრთოვანებაზე დამყარებული, უდიდესი სისწრაფით მიექანება წინ, დგება ახალ-ახალი ურთულესი პრობლემები, რომელთა თეორიულ - პრაქტიკული გადაწყვეტა კვლავ ამდიდრებს მარქსიზმ - ლენინიზმს, კვლავ ახალ უმაღლეს საფეხურზე აჰყავს იგი. ამ საქმეს ახორციელებს მარქს - ენგელსის და ლენინის საუკეთესო მოწაფე, რევოლუციის უდიდესი ოსტატი ამხ. სტალინი.

ამგვარად ეპოქებით დაშორებულნი მარქს-ენგელსი და ლენინ-სტალინი, წარმოადგენენ ერთ მთლიანობას, ემსახურებიან ერთ იდეას, და ეს იდეა არის პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალიზმის დამყარება. ამ მთლიანობიდან არ შეიძლება ენგელსის გამოთიშვა, რადგან მას აქვს მასში თავისი უდავო წილი. პროლეტარიატის ეს ოთხი მასწავლებელი ავსებენ და ამშვენიერებენ დღეს მის ძლევამოსილ დროშას და მხოლოდ ამ დროშით შეიძლება მოპოებულ იქნეს საბოლოო და უეჭველი გამარჯვება.

40 წლის წინათ გარდაცვალებული ფრიდრიხ ენგელსი (1895 წლ. 5 აგვისტოს) ცოცხალია დღეს თავის იდეით, თავისი მისწრაფებით, — მთელი თავისი ცხოვრებით. მისი შესწავლა ისევე აუცილებელია რევოლუციური პროლეტარიატისათვის, როგორც მარქსის, როგორც ლენინის და სტალინის შესწავლა.

ძრწოდე, ძველო ქვეყანავ! შენს მესაფლავეს დღეს მოეპოვება უძლეველი დროშა, რომელზედაც გამოხატულია მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი. მას წინ მიუძღვის სახელოვანი მედროშე, კაცობრიობის განმთავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ამხ. სტალინი. მარქსიზმ - ლენინიზმის ძვირფასი საგანძურიდან არცერთი სიტყვა არ დარჩება განუხორციელებელი; ხორცშესხმული იქნება და საკაცობრიოს გადაეცემა ფრიდრიხ ენგელსის მემკვიდრეობაც.

მალაქია ტოროშელიძე.

ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მომენტები

1820 წ. 28 ნოემბერს, პრუსიის (რეინის პროვინციაში) ქალაქ ბარმენში, ადგილობრივი შეძლებული მეფაბრიკის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც ფრიდრიხი დაარქვეს.

1820—1834 წლები მან გაატარა ოჯახში, მშობლებთან და ბარმენის რეალურ სასწავლებელში.

1835. სწავლობდა ელბერფელდის გიმნაზიაში და პანსიონში, რომელიც მიატოვა 1837 წ. 25 ნოემბერს.

1837—38. კანტორაში მუშაობდა თავის მამასთან ბარმენში, სადაც ამავე დროს გულდასმით ეცნობოდა მუშათა ყოფაცხოვრების პირობებს.

1838. აგვისტოდან 1841 წლის აპრილამდე მეკანტორედ მსახურობდა ბრემენში.

1839. მარტს „ტელეგრაფში“ დაიბეჭდა მისი პირველი წერილი. 1842 წლამდე იგი თანამშრომლობდა ამ ორგანოში.

1840—41. ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა ბრემენისა და სხვ. ქალაქების გაზეთებში.

1840. მაისში გაემგზავრა შვეიცარიასა და ჩრდილოეთ იტალიაში.

1841. ოქტომბრიდან 1842 წ. ოქტომბრამდე ბერლინში მოიხადა სამხედრო ბეგარა; ამავე პერიოდში უნივერსიტეტში ისმენდა ფილოსოფიის ლექციებს.

1842. მარტიდან დაიწყო თანამშრომლობა „რეინის გაზეთში“.

1842. ნოემბერში 22 წლის ახალგაზრდა პირველად შეხვდა და გაეცნო კარლ მარქს კელნში. იმავე წელს გადავიდა ინგლისში და დეკემბერში „რეინის გაზეთში“ მოათავსა ინგლისიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები.

1843. მაის-ივნისში „შვეიცარულ რესპუბლიკანელში“ ბეჭდავდა წერილებს. ზაფხული მანჩესტერში გაატარა. გაეცნო ჩარტისტებსა და სოციალისტებს.

1844. გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურ გამოცემებში გამოაქვეყნა წერილი „ინგლისის მდგომარეობა“ და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევები“.

1844. აგვისტო-სექტემბერში მარქსთან პარიზში ათი დღე გაატარა; მუშაობდა „წმინდა ოჯახზე“. სექტემბერშივე დაბრუნდა ბარმენში.

1845. თებერვალს ელბერფელდში ეწეოდა კომუნისტურ აგიტაციას; სწერდა ცნობილ შრომას „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“.

1845. აპრილში გადავიდა ბრიუსელში მარქსთან, ხოლო ივლის-აგვისტოში მასთან ერთად იმოგზაურა ინგლისში და დასწერა ნარკვევები ინგლისზე და კომუნიზმზე გერმანიაში. შემდეგ ბრიუსელში მარქსთან ერთად მუშაობდა „გერმანულ იდეოლოგიაზე“.

1846. აგვისტოში, ვეიტლინგთან განხეთქილების შემდეგ, გადავიდა პარიზში, სადაც ეწეოდა კომუნისტურ აგიტაციას განსაკუთრებით გერმანულ ბრიუსელურ გაზეთში. იმავე პერიოდს ეკუთვნის წერილი „ჭეშმარიტ სოციალისტთა“ წინააღმდეგ.

1847. აგვისტოს ლონდონში შესდგა კომუნისტთა კავშირის კონგრესი. კონგრესის შემდეგ, ბრიუსელში ორ თვეზე მეტ ხანს მუშაობდა კომუნისტთა კავშირისა და „დემოკრატიული ასოციაციის“ საქმეებზე.

1847. ნოემბერ-დეკემბერში მარქსთან ერთად ლონდონში დაესწრო კომუნისტთა კავშირის მეორე ყრილობას.

1848. თებერვალში გამოაქვეყნა „კომუნისტური მანიფესტი“.

1848. აპრილ-მაისი გაატარა კელნსა, ბარმენსა და ელბერფელდში. აგიტაციას ეწეოდა კომუნისტთა კავშირის და „რეინის ახალი გაზეთის“ სასარგებლოდ. ივნისში ამავე გაზეთში გამოაქვეყნა სტატიები. კელნსა და მის მიდამოებში ოქტომბრამდე დარჩა და რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა.

1848. შუა სექტემბერს ემიგრანტად წავიდა ბელგიაში, შემდეგ კი საფრანგეთსა და შვეიცარიაში.

1849. იანვარ-მაისში „რეინის ახალ გაზეთში“ ეწეოდა სარედაქციო მუშაობას. მაისში მონაწილეობა მიიღო ელბერფელდის აჯანყებაში.

1849. ივნის-ივლისში მონაწილეობდა კამპანიაში, რომელიც ბადენში საიმპერიო კონსტიტუციისათვის ტარდებოდა. ივლისში გადალახა შვეიცარიის საზღვრები, ხოლო ოქტომბერში გენუით და ჰიბრალტარით ლონდონს გაემგზავრა.

1850. იანვარ-ნოემბერში ლონდონში იყო. მოხდა კომუნისტთა კავშირის რეორგანიზაცია და განხეთქილება.

1850. შუა ნოემბერს გადავიდა მანჩესტერში და ბუხჰალტრად დაიწყო მუშაობა.

1851. მარქსის სახელით დაიწყო სისტემატური თანამშრომლობა გაზეთ „ნიუ-იორკ ტრიბუნში“. ამ წელს დაიწყო და 1852 წელს გაგრძელდა სტატიების სერიის ბეჭდვა („რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია გერმანიაში“).

1853. „ნიუ-იორკ ტრიბუნში“ გამოაქვეყნა სტატიები ინგლისზე, შვეიცარიაზე და რუსეთ-ოსმალეთის ომზე, ხოლო „რეფორმაში“ ინგლისის მუშათა მოძრაობაზე.

1854. „ნიუ-იორკ ტრიბუნში“ დაბეჭდა სტატიები ყირიმის ომზე.

1856. მაისში იმოგზაურა ირლანდიაში.

1859. გამოაქვეყნა სტატია „პო და რეინი“, სტატია იტალიის ომზე, პოლიტიკური მიმოხილვები და რეცენზია მარქსის ნაშრომზე „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.



Bibliothèque de la REVUE SOCIALISTE
I

SOCIALISME UTOPIQUE
et
SOCIALISME SCIENTIFIQUE
par
FREDERIC ENGELS

PAUL LAFARGUE

Prix: 50 centimes

PARIS

1880

ფ. ენგელსის წიგნის—„სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“,—პირველი ფრანგული გამოცემის (1880) სატიტულო გვერდი.

1860. 20 მარტს გარდაიცვალა ენგელსის მამა. ფრიდრიხი გაემგზავრა ბარმენში. იმავე წელს „ნიუ-იორკ ტრიბუნში“ დაბეჭდა სამხედრო ნარკვევები. მათი ბეჭდვა გრძელდებოდა აგრეთვე 1861 და 62 წლებში.

1864. იმოგზაურა შლეზვიგ-ჰოლშტინიაში.

1865. გამოაქვეყნა „პრუსიის სამხედრო საკითხი და გერმანიის მუშათა პარტია“.

1866. გამოაქვეყნა სტატიების სერია: „რა ესაქმებათ მშრომელ კლასებს პოლონეთთან“ და „შენიშვნები ომზე გერმანიაში“.

1867. ივლისს გაემგზავრა ჰამბურგში, ჰანოვერში და რეინის ნაპირებზე.

1867. ნოემბერს გერმანულ პრესაში გამოაქვეყნა პირველი რეცენზიები „კაპიტალზე“.

1868. აგრძელებდა „კაპიტალის“ რეცენზიას, თანამშრომლობდა „დემოკრატიულ ყოველკვირეულში“.

1869. აგვისტოს „დემოკრატიულ ყოველკვირეულში“ დაიბეჭდა მარქსის ბიოგრაფია, აგვისტო-სექტემბერში იმოგზაურა ოსტენდში, ბარმენში და ირლანდიაში.

1870. ოქტომბერში გადავიდა ლონდონში.

1871. მუშაობდა პირველი ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოში. დასწერა სტატია „კიდევ ბატონი ფოხტი“, გადათარგმნა „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და მარქსის სხვა შრომები.

1872. სექტემბერში მონაწილეობდა ჰააგის კონგრესში.

1872—73. გამოაქვეყნა შრომა „საბინაო საკითხზე“ და „ბაკუნისტები სამუშაოზე“.

1873. 29 ოქტომბერს გარდაიცვალა დედა. ენგელსი ბარმენს გაემგზავრა.

1873. დაიწყო „ბუნების დიალექტიკაზე“ მუშაობა.

1874—75. დაბეჭდა სტატიების სერია „ემიგრაციის ლიტერატურაზე“ (რუსეთის ემიგრაციის ლიტერატურაზე, კერძოდ ტკაჩევის წინააღმდეგ).

1875. გოთის პროგრამის პროექტის კრიტიკა.

1876. სტატიები: „პრუსიული არაყი გერმანულ რეიხსტაგში“ და „ვ. ვოლფის ბიოგრაფია“.

1877—78. მუშაობდა „ანტიდიურინგზე“.

1878. სტატიების სერია: „ევროპის მუშათა კლასი 1877 წელს“. ბრაკეს „სახალხო კალენდარში“ დაიბეჭდა. მარქსის ბიოგრაფია.

1879. ცირკულიარული წერილი ბებელს და სხვებს.

1880. გამოაქვეყნა „უტოპიური და მეცნიერული სოციალიზმი“.

1881—82. თანამშრომლობდა ლონდონის „ლეიბორ სტანდარტში“ და „სოციალ დემოკრატში“.

1883 14 მარტს გარდაიცვალა კარლ მარქსი. გამოაქვეყნა ენგელსის შრომა „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“.

1883. სექტემბერს მისი ხელმძღვანელობით გამოვიდა „კაპიტალის“ მესამე გამოცემა.

1884. გამოაქვეყნა „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, გამოიცა „ფილოსოფიის სიღატაკე“.

1885. გამოსცა „კაპიტალის“ მეორე ტომი. დასწერა მარქსის „თვრამეტი ბრიუმერის“ წინასიტყვაობა და „კარლ მარქსის კელნის ნაფიცთა სასამართლოს წინაშე“.

1885—86. დასწერა ვ. ვოლფის „სილეზიის მილიონების“ წინასიტყვაობა და „ძალა და ეკონომიკა“.

1887. ინგლისურ ენაზე გამოვიდა „კაპიტალი“ და „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“.

1888. 17 აგვისტოს გაემგზავრა ამერიკის შეერთ. შტატებში. გამოვიდა „ლუდვიგ ფეიერბახი“.

1890. ივლისში შორლემერთან ერთად გაემგზავრა სკანდინავიაში. თანამშრომლობდა „ფორვერტსში“ და სხვ. გერმანულ, ავსტრიულ და იტალიურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში.

1891. იანვარში გამოაქვეყნა მარქსის „გოთის პროგრამის კრიტიკა“.

1891. მარტში დასწერა შესავალი მარქსის შრომისა „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“.

1891. აპრილს გამოვიდა მარქსის „დაქირავებული შრომა და კაპიტალის“ გადამუშავებული გამოცემა.

1891. ერფურტის პროგრამის პროექტის კრიტიკა. გამოაქვეყნა „ბრენტანო მარქსის წინააღმდეგ“.

1892. გამოვიდა „სოციალიზმი გერმანიაში“.

1893. აგვისტოში გაემგზავრა კონტინენტზე (შვეიცარია, ავსტრია, გერმანია).

1894. დაესწრო მეორე ინტერნაციონალის ციურიხის კონგრესს. გამოსცა „კაპიტალის“ მესამე ტომი.

1895. 5 აგვისტოს კარლ მარქსის საუკეთესო თანამებრძოლი, უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი გარდაიცვალა ლონდონში.

ფრ. ენგელსის შრომები ქართულ ენაზე

„ანტიდიურინგი“ თარგმანი გერმანულიდან გ. ქიქოძის მიერ. მალ. ტოროშელიძის რედაქციით. 1933 წლის გამოცემა.

„ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“. თარგ. გერმანულიდან გ. ქიქოძის მიერ მალ. ტოროშელიძის რედაქციით. გამოც. 1932 წ. და 1933 წ.

„14 მარტი 1883 წლის“. წერილები მარქსის სიკვდილის გამო. 1933 წლის გამოცემა.

„კაპიტალის კონსპექტი“. თარგ. ნ. იმნაიშვილის მალ. ტოროშელიძის რედაქციით 1934 წლის გამოცემა.

„ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“.

„სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი: „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“. გამოცემები: 1905 წლის, 1917 წლის 1919 წ. 1928 წლის და 1931 წლის.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი „კომუნისტური მანიფესტი“ 1923 წლის გამოცემა. ქართული აქვს ავტორებისა და ფ. მახარაძის წინასიტყვაობა და 1933 წლის მე-7 გამოცემა.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. „წერილები, თეორია და პოლიტიკა მარქსის და ენგელსის მიწერ-მოწერაში“ გამოც. 1923 წ. ქართული აქვს ვ. ვ. ადორატსკის სტატია და შენიშვნები.

„ლიუდვიგ ფეიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“. თარგ. გერ. ქიქოძის, მალ. ტოროშელიძის რედაქციით. 1923 წ. გამოცემა.

„კომუნიზმის პრინციპები“ (პირვანდელი პროექტი კომუნისტური მანიფესტისა) ედ. ბ. ბერნშტეინის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

„მაიმუნიდან ადამიანამდე“. თარგმანი რუსულიდან პ. ქანიშვილის. გრ. მუშიშვილის წინასიტყვაობით.

„ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკიდან“. თარგ. გერმანულიდან მ. გოგიბერიძის მიერ.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი; „მუშათა მოძრაობა. პროფესიონალური კავშირები და სოციალიზმი“. თარგ. გერმანულიდან ს. დევდარიანის (სანის) მიერ.

„გლეხთა ომი გერმანიაში“. თარგ. გ. ქიქოძის მალ. ტოროშელიძის რედაქციით. გამოცემა 1932 წ.

ფრ. ენგელსის წინასიტყვაობანი

კ. მარქსის „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“. წინასიტყვაობა ფრ. ენგელსისა.

კ. მარქსის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ წინასიტყვ. ფრ. ენგელსის.

კ. მარქსის „კაპიტალი 1 ტომის“. წინასიტყვაობა ფრ. ენგელსისა მე-3 და მე-4 გამოცემისათვის.

კ. მარქსის „ფილოსოფიის სიღატაკის“ წინასიტყვაობა ფრ. ენგელსის და სხვ.



Die Lage der
arbeitenden Klaſſe
in
England.

Friedrich Engels.

ფ. ენგელსის წიგნის—„მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“—პირველი გამოცემის (1845) სატიტულო გვერდი.

ფრ. ენგელსის შრომები

[illegible] ფ. ენგელსის გარდაცვალების 40 წლისთავისათვის [illegible] მომზადდა დიდი მასალა „მეფის ცენზურა და ფრიდრიხ ენგელსი“.

ეს ნაშრომი მკაფიოდ ახასიათებს მეფის ცენზურის დამოკიდებულებას უდიდესი პროლეტარული მოაზროვნისადმი.

ფ. ენგელსის წიგნი „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ ცენზურამ აკრძალა 1871 წლის აგვისტოში; 38 წლის შემდეგ (1909 წლის ოქტომბერში) ამ წიგნის საკითხი კვლავ განიხილა ცენზურამ. წარმოდგენილ მოხსენებაში ცენზორი ხმირნოვი სწერდა: „ახლა, როცა სოციალისტური ქადაგება განყენებული თეორიიდან ჩვენს თვალწინ სოციალისტურ მოძრაობად გადაიქცა, ენგელსის თხზულებას ენიჭება თავისი მნიშვნელობა, როგორც ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით პროლეტარიატის მოწოდებას გააფთრებული ბრძოლისაკენ, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როგორც იგი უწოდებს ყველა შეძლებულ კლას, გარდა მუშებისა“.

და წიგნი აკრძალეს.

ენგელსის ბროშურის შესახებ „სოციალური ურთიერთობანი რუსეთში“ ცენზორი 1911 წლის 30 სექტემბერს სწერდა:

— „ავტორი გლეხთა წოდებას და საერთოდ დაბალ კლასებს ამხედრებს მაღალი და უფრო უზრუნველყოფილ კლასების წინააღმდეგ, ამხედრებს რუსეთის ხალხს და განსაკუთრებით ამ ხალხის მუშათა კლასებს რევოლუციური გამოსვლისათვის მონარქის და მთავრობის წინააღმდეგ და სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დასამხობად“.

ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტის რეზოლუცია უაღრესად ლაკონიური იყო —„აიკრძალოს“.

ცენზურას არც სამოსამართლო ხელისუფლება ჩამორჩებოდა. მოისპოს სტერეოტიპთან ერთად—ასეთი იყო ენგელსის ნაწარმოებთა შესახებ სასამართლო განაჩენთა მოკლე ფორმულა (ადს).

მოსკოვი, 4 ივლისი. მეცნიერული კომუნიზმის ერთერთი ფუძემდებლის, კ. მარქსის უახლოესი მეგობრის და თანამებრძოლის ფრიდრიხ ენგელსის ნაწარმოებები დიდად გავრცელდა საბჭოების ქვეყანაში.

წიგნის სახელმწიფო ცენტრალური პალატის არასრული ცნობებით, 17 წლის განმავლობაში (1918-დან 1935 წლამდე) გამოცემულია ენგელსის 293 წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 11 მილიონ ეგზემპლარს აღემატება.

დიდი რევოლუციონერის ნაშრომები დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ოცდაათ და უფრო მეტ ენაზე - რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, თურქულ, ჩინურ, იაკუტურ, ქართულ, კალმიკურ, კორეულ, უზბეკურ, მეგრულ; თურქულ, გერმანულ, პოლონურ და მრავალ სხვა ენაზე.

ენგელსის ნაწარმოებთა ტირაჟი განუწყვეტლივ იზრდება. მაგალითად, 1918 წელს, არასრული ცნობებით, გამოიცა 6 სახელწოდების წიგნი 80.000 ეგზემპლარის ტირაჟით, ხოლო 1919 წელს—უკვე 16 სახელწოდების წიგნი 610.000 ეგზემპლარის ტირაჟით. განსაკუთრებით მკვეთრად გაიზარდა ენგელსის ნაშრომების გამოცემა უკანასკნელ წლებში. 1931 წელს გამოცემულ იქნა 25 წიგნი 1 მილიონი 30 ათასი ეგზემპლარის ტირაჟით, 1932 წელს—40 წიგნი, 2 მილიონი 600 ათასი ტირაჟით, ხოლო 1933 წელს —76 წიგნი, რომელთა ტირაჟმა უდიდეს ციფრს —3 მილიონ 620 ათას ეგზემპლარს მიაღწია.

ყველაზე უფრო გავრცელდა მარქსის და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“. იგი გამოცემულია 2 მილიონი 724 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით, ენგელსის წიგნი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ გამოცემულია 658 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით, „ანტი-დიურინგი“—610 ათასი ეგზემპლარი, „ლუდვიგ ფეიერბახი“—484 ათასი ცალი, „ბუნების დიალექტიკა“—480 ათასი ცალი და სხვ. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. პაშუკანისი

ფრიდრიხ ენგელსი

ორმოცი წლის წინათ, 1895 წლის 5 აგვისტოს, გარდაიცვალა რევოლუციური პროლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი, დიდი მარქსის თანამებრძოლი და მეგობარი ფრიდრიხ ენგელსი, რომელიც მარქსთან ერთად მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელია.

როგორც წვრილბურჟუაზიული წრიდან გამოსული, ენგელსი ახალგაზრდობაში მიემხრო რადიკალურ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელსაც 1848 წლის რევოლუციის წინ იერიში მიჰქონდა მაშინდელი პრუსიის ფეოდალურ - ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, მონარქიის წინააღმდეგ, თავადაზნაურობისა და ხუცების ბატონობის წინააღმდეგ.

მაგრამ ენგელსი, ისე როგორც ახალგაზრდა მარქსი, დიდხანს არ დარჩენილა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციონერთა ბანაკში, რომლებიც ვერ ხედავდნენ და არც სურდათ დაენახათ, რომ ბურჟუაზიულ - დემოკრატიული თავისუფლების მოპოება ჯერ კიდევ არა სწყვეტს ძირითად საკითხს — მშრომელთა იმ ფართო მასების მდგომარეობის საკითხს, რომლებიც გადაქცეული არიან პროლეტარებად, კაპიტალის დაქირავებულ მონებად.

უკვე თავის პირველ ნაწარმოებებში — „წერილები ვუპერტალიდან“ (1839 წ.) ენგელსი გვიხატავს ქალაქ ელბერფელდის ფეიქარ მუშათა სიღატაკეს. 1842 წელს ენგელსი წავიდა ინგლისში, სადაც დაიწყო სამსახური სართავ საწარმოს კანტორაში, მაგრამ იგი, როგორც ლენინი სწერდა, „მარტო ფაბრიკის კანტორაში როდი იჯდა — იგი დადიოდა ჭუჭყიან უბნებში, სადაც მუშები სცხოვრობდნენ, საკუთარი თვალით ხედავდა მათს სიღატაკესა და გაჭირვებას“ (ლენინი, თხზულებანი, ტომი I, გვ. 411). ენგელსის წიგნმა „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე თავისი სიმართლით და იმით, რომ იგი მგზნებარედ სდებდა ბრალს კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიულ წყობილებას, მაგრამ ამ წიგნის მნიშვნელობა სრულებითაც არ იყო ის, რომ გამოიწვია ფილანტროპული თანაგრძნობა მუშათა კლასის გაჭირვებულ მდგომარეობისადმი. „ენგელსამდეც ძალიან ბევრი გვიხატავდა პროლეტარიატის ტანჯვას და აღნიშნავდა, რომ საჭიროა მისთვის დახმარების გაწევა. ენგელსმა პირველმა სთქვა, რომ პროლეტარიატი მარტო ტანჯული კლასი როდია, სწორედ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც პროლეტარიატი იმყოფება, განუწყვეტლივ აწევს მას წინ და აიძულებს იბრძოლოს თავისი საბოლოო გამარჯვებისათვის“. (ლენინი, თხზულებანი, ტომი I, გვ. 412).

ამ დროს ენგელსი უკვე დაუახლოვდა მარქსს, რომელსაც იგი პირველად 1842 წელს შეხვდა. იწყება მათი უმჭიდროესი მეგობრობის, საერთო ტიტანური მუშაობისა და პროლეტარიატის საქმისათვის, მეცნიერული კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ორმოცი წლის გზა.

მარქსთან ერთად ენგელსი ებრძვის მემარცხენე ჰეგელიანელთ, რომლებიც ინტელიგენტური ყოყოჩობით ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ განყენებულ მჭვრეტელობით კრიტიკას, მოწყვეტილს „უხეშ და მდაბალ“ პრაქტიკულ მოქმედებას, ე. ი. პოლიტიკურ ბრძოლას.

მარქსი და ენგელსი მთლიანად ჩაებნენ პოლიტიკურ ბრძოლაში. ისინი თავის ამოცანად ისახავენ პროლეტარიატის ორგანიზაციას, კომუნისტური პარტიის შექმნას, მუშათა კლასის შეიარაღებას ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური თეორიით. რევოლუციური მარქსიზმის თეორიას, როგორც ლენინი აღნიშნავდა, აქვს სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი: გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის, ფრანგული სოციალიზმის სახით. მარქსმა და ენგელსმა შექმნეს პროლეტარიატის მსოფლმხედველობა (დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის თეორია, ეკონომიური თეორია და მეცნიერული კომუნიზმი). დიდია ენგელსის დამსახურება რევოლუციური მარქსიზმის ყველა მხარის დამუშავების საქმეში, მისი შრომა გადახლართულია მარქსის შრომასთან და წარმოადგენს ერთ დიდ მთლიან ერთეულს. ცნობილია, რომ სწორედ ენგელსის ნაშრომებმა პოლიტიკური ეკონომიის დარგში ბიძგი მისცა მარქსს დაეწყო მუშაობა ეკონომიურ მეცნიერებაზე, რომლიდანაც წარმოიშვა „კაპიტალი“ — ადამიანის აზროვნების ეს უდიდესი ნაწარმოები, რომელიც შეიცავს კაპიტალიზმის სასიკვდილო განაჩენს.

1847 წელს ენგელსმა მოხაზა კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტი. ამ მოხაზული პროექტის საფუძველზე წარმოიშვა მარქსის დაწერილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომლის სული „დღემდე აცოცხლებს და ამოძრავებს ცივილიზებული მსოფლიოს მთელ ორგანიზებულ და მებრძოლ პროლეტარიატს“ (ლენინი, თხზულებანი, ტომი, I, გვ. 413).

საერთო რევოლუციური ბრძოლისა და მუშაობის ორმოცი წლის მანძილზე მარქსი და ენგელსი ხელმძღვანელობას უწევდნენ პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობას, სჭედდნენ მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძვლებს და აიარაღებდნენ მას მეცნიერული კომუნიზმის თეორიით. მარქსთან ერთად ენგელსი იყო პირველი პროლეტარული ინტერნაციონალის შემქმნელი და სულისჩამდგმელი, მის რიგებში ენგელსი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმისა და ანარქიზმის წინააღმდეგ. მარქსის გარდაცვალების შემდეგ ენგელსი 12 წლის განმავლობაში მთელი საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარული მოძრაობის აღიარებული ბელადი და მასწავლებელი იყო. მთელი მსოფლიოს მუშათა პარტიებს, რომლებიც თანდათან მტკიცდებოდნენ, იგი აკავშირებდა, ახალ ინტერნაციონალურ გაერთიანებაში, მუდამ დაუნდობლად აკრიტიკებდა ოპორტუნიზმს ყველგან, სადაც კი იგი თავს წამოსწევდა, და პირველ რიგში ებრძოდა მას გერმანიის სოციალ - დემოკრატიის — მეორე ინტერნაციონალის ყველაზე უფრო ძლიერი პარტიის რიგებში. საუკეთესო, უფრო ერთგული, უფრო რევოლუციური ელემენტები მთელი მსოფლიოს მუშათა პარტიებში იმ დროს აღზრდილი და შეკავშირებული იყო ენგელსის მიერ. **ბოლშევიკებმა, ლენინ - სტალინის პარტიამ, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ახალ პირობებში და ახალ ეტაპზე განაგრძეს ოპორტუნიზმის — მუშათა კლასის ამ მოსისხლე მტრის — ყოველგვარ გამოხატულებათა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სახელოვანი ტრადიცია, რაც მათ მარქსმა და ენგელსმა უანდერძეს.**

ჯერ კიდევ 80-იან წლებში, როცა მარქსი ცოცხალი იყო, ენგელსი გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ხელმძღვანელებთან მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ მისი აზრით, ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს განხეთქილება ოპორტუნისტებთან. „იმის შესახებ, რომ ადრე თუ გვიან საქმე მივა პარტიის ბურჟუაზიულად განწყობილ ელემენტებთან შეტაკებამდე,—სწერდა იგი ბებელს, — და მემარჯვენე და მემარცხენე ფრთად გაყოფამდე, მე უკვე დიდიხანია არ მქონია არავითარი ილუზიები“. „გათიშვის მეოხებით, დასძენდა იგი. შემდეგ, ჩვენ მივაღწევთ გარკვეულობას და განთავისუფლდებით ჩვენთვის სრულიად უცხო ელემენტებისაგან“. (მარქსისა და ენგელსის არქივი, ტომი I/VI, გვ. 197 და 198). ენგელსი უდიდესი უნდობლობით უყურებდა იმ წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს რომლებიც, შეძვრებოდნენ რა მუშათა პარტიების რიგებში, აპარებდნენ იქ ბურჟუაზიულ თეორიებს და ნერგავდნენ ბურჟუაზიული შოვინიზმის გესლს. იგი დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ორ ფრონტზე — წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლობისა და პარლამენტური კრეტინიზმის წინააღმდეგ და იმ დოგმატური სექტანტობის წინააღმდეგ, რომელიც იწვევდა მასებისაგან მასობრივი მუშათა მოძრაობისაგან მოწყვეტას.

განსაკუთრებული ძალით იბრძოდა ენგელსი **პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგისათვის, რაც რევოლუციური მარქსიზმის სულსა და გულს შეადგენს.**

მუშათა პარტიების ზოგიერთი საუკეთესო ბელადიც კი, როგორც მაგალითად ბებელი, ამ საკითხში უთმობდა პოზიციებს ოპორტუნისტებს. ცნობილია, რომ კაუცკი საჭიროდ არ სცნობდა ბერნშტეინთან დავას პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ. ხედავდა რა, რომ ვრცელდებოდა ოპორტუნიზმის გადამდები სენი, ენგელსმა 1891 წელს დაჟინებით მოითხოვა გამოექვეყნებინათ მარქსის „გოთის პროგრამის კრიტიკა“, რომელიც მიმართული იყო ლასალიანობის ბურჟუაზიულ - დემოკრატიული ილუზიების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ **სოციალისტური საზოგადოებისაკენ გზა მიდის მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურით.** ამის შემდეგ ენგელსმა გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი წინასიტყვაობა მარქსის წიგნისთვის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, სადაც მან კვლავ მოიგონა ოპორტუნისტები, რომლებიც დემოკრატიის „მშვიდობიან“ განვითარებაზე ლაყბობდნენ, რომ ყოველგვარი სახელმწიფო არის „სხვა არაფერი, თუ არა მანქანა ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დასაჩაგრავად და დემოკრატიულ რესპუბლიკაში არა ნაკლებ, ვიდრე მონარქიაში“ (მარქსი, რჩეული ნაწარმოებნი, ტომი II, 1933 წ., გვ. 356). სწორედ ამ წინასიტყვაობას ენგელსი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს, „შეხედეთ პარიზის კომუნას. ის იყო პროლეტარიატის დიქტატურა“ (მარქსი, რჩეული ნაწარმოებნი, ტომი II, გვ. 357). ამ მოწოდებით მან მიმართა „სოციალ - დემოკრატ ფილისტერებს“, რომლებსაც სიტყვები **პროლეტარიატის დიქტატურა** შიშის ზარს სცემდა.

ბოლოს, თავის ეგრეთწოდებულ ანდერძში, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე დაწერილ შესავალში მარქსის წიგნისათვის „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში“, ენგელსი კვლავ აღიარებს, რომ აუცილებელია პროლეტარიატის აშკარა ბრძოლები ქუჩაში ბურჟუაზიასთან და რომ საჭიროა მზადება ამ ბრძოლებისათვის. ოპორტუნისტულმა ფილისტერებმა, რომლებიც გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ხელმძღვანელობაში იყვნენ მოკალათებული, ამ შესავლიდან ამოაგდეს ყველაზე უფრო რევოლუციური ადგილები, გამოაქვეყნეს რა ეს შესავალი დამახინჯებული სახით, ისინი შეეცადნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, გადაექციათ იგი ლეგალობის ანდერძად. სინამდვილეში ენგელსი ამტკიცებს, რომ კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება გამოიწვევს იმას, რომ ბურჟუაზია აუცილებლად **დაჰგლეჯს** მის მიერვე შექმნილ ლეგალობის ჩარჩოებს. იგი წინასწარმეტყველებს იმას, რაც ახლა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ყველა ფაშისტურ და ფაშიზაციის გზაზე დამდგარ სახელმწიფოში.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება, განსაკუთრებით მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, შემდეგ თეორიულად განავითარეს ლენინმა და სტალინმა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურის პრაქტიკულად განხორციელებას, წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირის პირველსახეს. პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის პირველ გამოცდილებას ენგელსი პარიზის 1871 წლის კომუნის სახით ხედავდა, ახლა ძლევამოსილად დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის ფორმით და მიდის თავისი მიზნის — **საერთოდ კაპიტალისტური ელემენტებისა და კლასების ლიკვიდაციის** — განხორციელებისაკენ.

ენგელსი, ისე როგორც მარქსი, თავის მსოფლმხედველობაში, თავის პოლიტიკურ ხაზში ასახიერებდა პროლეტარიატის **ინტერნაციონალურ** ბუნებას. საგარეო პოლიტიკის მოვლენებს ენგელსი, უწინარეს ყოვლისა, აფასებდა პროლეტარული რევოლუციის ინტერესების, მისი განვითარებისა და გამარჯვების პერსპექტივების თვალსაზრისით.

მარქსისა და ენგელსის ტაქტიკა საფრანგეთ - პრუსიის 1870-71 წლების ომის დროს წარმოადგენს **ინტერნაციონალისტური პროლეტარული ტაქტიკის** ნიმუშს. თუ პირველ ეტაპზე ნაპოლეონ მესამის დამარცხებას ისინი აფასებდნენ როგორც პროგრესიულ ისტორიულ ფაქტს, რომელიც სპობდა დაბრკოლებებს გერმანიის ნაციონალური გაერთიანების გზაზე, სედანის ბრძოლის შემდეგ პრუსიამ ომი გადააქცია დინასტიურ მძარცველ ომად. ამ ეტაპზე ენგელსი იცავს საფრანგეთის ნაციონალური თავდაცვის საქმეს და ამავე დროს მოუწოდებს ინტერნაციონალის წევრებს — იბრძოლონ შოვინიზმის წინააღმდეგ. როგორც დიდმა სამხედრო სპეციალისტმა, ენგელსმა შეადგინა და პარიზში გაგზავნა პრუსიის წინააღმდეგ თავდაცვითი ომის წარმოების გეგმები. ეს ფაქტი — საუკეთესო პასუხია იმ სოციალ - შოვინისტებისა და ანარქისტებისათვის, რომლებიც ცილს სწამებდნენ ენგელსს და ხატავდნენ მას „ჭეშმარიტ გერმანელად“ ამ სიტყვის ბურჟუაზიულ - შოვინისტური გაგებით.

მარქსი და ენგელსი მოღვაწეობდნენ სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში. ამ ეპოქის პირობების მიხედვით მათ განავითარეს პროლეტარული რევოლუციის თეორია, დასახეს მისი სტრატეგია და მისი გაშლის პერსპექტივები. **ლენინმა და სტალინმა — პროლეტარიატის ბელადებმა და მასწავლებლებმა იმპერიალიზმის ეპოქაში, პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში — გამოიყვანეს ახალი დასკვნები, მათ შემდგომ განავითარეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება.**

იმ ეპოქაში, როცა მარქსი და ენგელსი მოღვაწეობდნენ და იბრძოდნენ, მეფის რუსეთი იყო რეაქციის მთავარი დასაყრდენი ევროპაში, „ხალხთა საპატიმრო“, „ჟანდარმი“, რომელიც მზად იყო ჩაეხშო ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობა შინაც და გარეთაც. ამიტომ მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველი პროლეტარის **პირველი რევოლუციური და ინტერნაციონალური მოვალეობა** იყო.

მაგრამ უკვე მაშინ, თვალს ადევნებდნენ რა რუსეთში მზარდ რევოლუციურ ძალებს, რუსეთის პროლეტარიატის პირველ გამოსვლებს, მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის რევოლუცია იქნება მძლავრი ბიძგი, რომელიც ახალ ფურცელს გადაშლის ისტორიაში და იქნება დასავლეთის პროლეტარული რევოლუციის პროლოგი, დასაწყისი.

მეფის ყოფილ რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ არამც თუ ძლევამოსილად განმტკიცდა პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ საქმით დამტკიცდა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან ლენინ - სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გახდა ინდუსტრიალური ქვეყანა. გადაიჭრა წვრილი გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით გარდაქმნის ამოცანა. განადგურებულია უკანასკნელი კაპიტალისტური კლასი — კულაკობა. სოციალიზმი გახდა ერთადერთი გაბატონებული წყობა. სწარმოებს პროლეტარული სოციალისტური კულტურის ძლიერი აყვავება.

საბჭოთა კავშირი, მისი სამეურნეო, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება — აი რა წარმოადგენს ახლა საერთაშორისო მუშათა კლასის დასაყრდენს და იმედს მის ბრძოლაში იმპერიალიზმის, ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ. ყოველი პროლეტარის, ყოველი მშრომელის, ყოველი პატიოსანი დემოკრატის, ყოველი ანტიფაშისტის **ინტერნაციონალურ მოვალეობას** შეადგენს ყოველნაირად დაიცვას მხარი საბჭოთა კავშირს, მის სამშვიდობო პოლიტიკას, კაპიტალის ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლების პოლიტიკას, იბრძოლოს იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელიც ანტისაბჭოთა ომს ამზადებს.

გერმანიის ფაშისტები პრეტენზიას აცხადებენ, თითქოს მათ შესძლეს აღმოეფხვრათ მარქსიზმი და მოესპოთ კლასობრივი ბრძოლა „ნაციის მთლიანობის“ გულისათვის. ეს დაქირავებული ჯალათები, კაპიტალიზმის ეს ნაძირალები და მახინჯები ფიქრობენ, რომ ისინი შესძლებენ აღმოფხვრან მუშების შეგნებიდან მარქსის, ენგელსის და მათი საქმის დიდ განმგრძობთა — ლენინისა და სტალინის სახელები. უბადრუკი ბაქიობაა! მარქსიზმი ცოცხლობს და იცოცხლებს კიდეც, სისხლიანი დევნის მიუხედავად, იგი ცოცხლობს და იცოცხლებს გერმანიის, ჩვენი მოძმე კომპარტიის გმირულ ბრძოლაში, კაპიტალის ყველა ქვეყნის ჩვენი მოძმე კომპარტიების ბრძოლაში.

ფაშისტურმა ჯალათებმა შესძლეს ამხ. ტელმანისა და ათი ათასობით რევოლუციური მუშის გამომწყვდევა თავიანთ საპყრობილეებში, მაგრამ ისინი ვერ შესძლებენ კომუნიზმის ჩახრჩობას.

და ახლა, ენგელსის გარდაცვალების 40 წლისთავზე, ამ შესანიშნავი პროლეტარული მოაზროვნისა და მებრძოლის სახე მილიონთა გონებაში ისახება როგორც ბრძოლის დროშა, როგორც საწინდარი, იმისა, რომ კომუნიზმის საქმე, რომელმაც საბჭოთა კავშირში გაიმარჯვა, გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

მოსკოვი, აგვისტო.

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

ამხ. ვ. პიკის საბოლოო სიტყვა

კომინტერნის ალმასკომის მოღვაწეობაზე საანგარიშო მოხსენების გამო

ამხანაგებო! კომუნისტური ინტერნაციონალის ალმასკომის საანგარიშო მოხსენების გამო დაწყებულმა 6 დღის კამათმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60 ორატორმა 46 ქვეყნიდან, დაგვანახვა, თუ განვითარების რა უდიდესი გზა განვლო კომუნისტურმა ინტერნაციონალმა — მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდმა — VI მსოფლიო კონგრესის დროიდან. კომპარტიები ყველა ქვეყანაში განმტკიცდნენ და სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა დიდ მასობრივ მოძრაობას. თუ VI მსოფლიო კონგრესის დროს მთელ რიგ სექციებში ჯერ კიდევ სწარმოებდა საშინაო ფრაქციული ბრძოლა, სამაგიეროდ კომინტერნი და მისი სექციები ისე მონოლიტური, დარაზმული და ერთიანი არასოდეს ყოფილან, როგორც ახლა არიან. კამათი ნათლად მოწმობს ყველა ჩვენი სექციის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დარაზმულობას და მათი გავლენის ზრდას მასებზე (მქუხარე ტაში).

ალმასკომის ანგარიში ყველა კომუნისტური პარტიის ორატორებმა სავსებით მოიწონეს. ყველაფერი, რაც თქვენ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა თავისი ბრძოლის გამოცდილებაზე, მთლიანად ადასტურებს კომუნისტური ინტერნაციონალის ბოლშევიკური ხაზის სისწორეს, საერთაშორისო განვითარების იმ ანალიზსა და პერსპექტივას, რომელსაც იგი იძლეოდა. ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა. ყველა მშრომელის სახალხო ფრონტის შექმნა კაპიტალის შემოტევისა, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა სექციამ მთავარ ამოცანად დაისახა. ამასთან მთელმა რიგმა სექციებმა უკვე მიაღწიეს წარმატებებს ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ჩვენ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კამათში ორატორები საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ ანგარიშში შეჯამებული საერთაშორისო გამოცდილების შეფასებას და მეტწილად სჯერდებოდნენ მხოლოდ საკუთარი ქვეყნების მოვლენათა და გამოცდილების გაშუქებას.

კომინტერნის ალმასკომის ანგარიშში ჩვენი სხვადასხვა პარტიის მუშაობა და შეცდომები მეტად სერიოზულად გავაკრიტიკეთ. ამხანაგების უმეტესობამ კამათში აღიარა ამ კრიტიკის საფუძვლიანობა, მაგრამ ყველამ როდი ილაპარაკა იმ დასკვნებზე, რომლებიც მათ უნდა გამოიყვანონ თავისი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ მოველით, რომ გამოსვლებში დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო, რომელშიც დასმულია ერთიანი ფრონტის პრობლემები, ამხანაგები ამ ხარვეზს შეავსებენ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლაში გამოსჭვიოდა გულდამშვიდება მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებით და არასაკმაოდ იყო გამოკვეთილი, თუ რატომ ვერ მოხერხდა უფრო მეტად განგვემტკიცებინა ჩვენი გავლენა მასებში, როცა ამისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

ამხ. კაშენმა ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც შეასრულა საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ფაშიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლაში და ყველა მშრომელის სახალხო ფრონტისათვის ბრძოლაში. ფრანგი ამხანაგების ტაქტიკა სავსებით გამართლდა და პარტიას დიდი პოლიტიკური წარმატებები არგუნა. მაგრამ არსებული წარმატებანი ჯერ კიდევ საჭიროებენ განმტკიცებას.

საფრანგეთში მოსალოდნელია გრანდიოზული ბრძოლები. ორი ბანაკი ირაზმება ამ ბრძოლებისათვის, რომლითაც გადაწყდება მესამე რესპუბლიკის ბედი. ორი ბანაკი ირაზმება ამ ბრძოლებისათვის და სახალხო ფრონტის გამარჯვებას თუ დამარცხებას უდიდესი გავლენა ექნება მთელს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე, მთელს საერთაშორისო მდგომარეობაზე.

საფრანგეთის კომპარტიამ შესძლო გამოეწვია და მოეწესრიგებინა საფრანგეთის ხალხის უფართოეს ფენებში ბრძოლის წყურვილი ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ. მისი მუშაობა მაგალითი უნდა იყოს ყველა ჩვენი პარტიისათვის. კონგრესზე გამოსულმა სამმა ჩინელმა ამხანაგმა ჩვენს წინაშე გადაშალა ჩინეთში გაჩაღებული ბრძოლის სურათი და გვიჩვენა, რომ ჩინეთის პარტია უმძიმეს პირობებში აწყობს ბრძოლას მშობლიური და უცხოელი მჩაგვრელების წინააღმდეგ, ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მათი გამოსვლები გვიჩვენებენ იმ დიდ გზას, რომელიც განვლო ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ VI კონგრესიდან VII კონგრესამდე. ეს გზა სიამაყით და სიხარულით აღავსებს მთელი მსოფლიოს კომუნისტების გულს (მქუხარე ტაში). ამხანაგებმა გვიამბეს, თუ როგორ გადაიქცა პარტია გიგანტურ მასობრივ ორგანიზაციად, როგორ შეიქმნა წითელი არმია, როგორ იქმნება ახალი საბჭოთა სახელმწიფო. მათ გვიჩვენეს, თუ როგორ გაიზარდნენ სარდლები და სახელმწიფო მოღვაწეები მუშათა, გლეხთა, ხელოსანთა და სტუდენტთა რიგებიდან და როგორ იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის პარტიის ხელმძღვანელობით 450 მილიონიანი ხალხი, რომელსაც იმპერიალისტები ფეხქვეშ სთელავენ და გომინდანელები სტანჯავენ. ჩინეთის კომპარტია წარმოადგენს ნიმუშს კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების ყველა კომუნისტისათვის.

კამათში გამოსულმა ყველა ამხანაგმა აღიარა იმის აუცილებლობა, რომ ჩვენი მუშაობა უნდა გადავიტანოთ მშრომელთა ყველა მასობრივ ორგანიზაციაში. მასობრივ მუშაობის აუცილებლობის ასეთი აღიარება ჩვენ გვსმენია წინათაც, კომინტერნის ალმასკომის პლენუმებზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მუშაობა ძალიან ნელა ვითარდებოდა. ეს შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ კომუნისტები ამჯობინებენ იმუშაონ მხოლოდ რევოლუციურ ორგანიზაციებში და ამავე დროს მეორეხარისხოვან, არც თუ ისე მნიშვნელოვან ან კომუნისტისათვის შეუფერებელ მუშაობადაც კი მიაჩნიათ ყოველდღიური წვრილმანი მუშაობა მასობრივ ორგანიზაციებში, რომლებიც რეფორმისტულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ან ფაშისტურ პარტიებს შეუქმნიათ. ასეთ შეხედულებას და გეზს სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

კომინტერნის ალმასკომის საანგარიშო მოხსენებაში ხაზი გაესვა მთელ რიგ მნიშვნელოვან პრობლემებს არა მარტო ცალკეული სექციების მუშაობაში, არამედ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაშიც. კომინტერნის ალმასკომს აუცილებელ საჭიროებად და დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია თავისი მუშაობის გაუმჯობესება. ალმასკომის მუშაობის ზოგადპოლიტიკურ ნაკლოვანებებს კამათში კერძოდ შეეხო ამხ. კემპბელი (ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელი). ჩვენ დაბეჯითებით ხაზს ვუსვამთ, რომ სავსებით მივესალმებით ამხ. კემპბელის კრიტიკას. მაგრამ ეს კრიტიკა ყველაფერში როდია მართალი. თუ ამ კრიტიკაზე ვჩერდებით, ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო წამოვსწიოთ პირველ რიგში ის საკითხები, რომლებიც ამხ. კემპბელმა წამოაყენა.

ამხ. კემპბელი განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება პროფკავშირულ მუშაობაზე და იმ სექტანტურ განწყობილებებზე, რომლებმაც თავი იჩინა ამ დარგში. ის აყენებს კითხვას, მართალია თუ არა, რომ საგაფიცვო სტრატეგიისა და ტაქტიკაში შემჩნეული სექტანტური შეცდომებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ცალკეულ პარტიებს ეკისრებათ და თავის დროზე გამოიჩინა თუ არა ალმასკომმა ინიციატივა რეფორმისტულ პროფკავშირებში მუშაობაზე უარის თქმის ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალმასკომის ანგარიშში საფუძვლიანად, სტრასბურგის რეზოლუციის სათანადო ადგილებზე მითითებით, დაგმობილი იყო პროფკავშირულ მუშაობაში დაშვებული სექტანტური შეცდომები.

კომინტერნის ალმასკომის X პლენუმის რეზოლუციაში ნათლად არის ნათქვამი, რომ კომუნისტებმა... „არავითარ შემთხვევაში“ არ უნდა „მოუწოდონ მუშებს გამოვიდნენ რეფორმისტული პროფკავშირებიდან“. რეფორმისტულ კავშირებში მუშაობაზე ნათქვამია: „პირიქით, ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს“. უფრო მეტიც, კომინტერნის ალმასკომის X პლენუმმა გადაჭრით გაილაშქრა... „რეფორმისტულ პროფკავშირებში მუშაობაზე უარის თქმის საშიში ტენდენციების“, წინააღმდეგ, „რეფორმისტული პროფკავშირების შიგნით მუშაობის შესახებ გადაწყვეტილებათა ყოველგვარი გადასინჯვის წინააღმდეგ. შემდეგ კომინტერნის ალმასკომის X პლენუმის ამ გადაწყვეტილებაში მოყვანილია შემდეგი ადგილი „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სნიდან“. „იმისათვის, რომ შევძლოს „მასების“ დახმარება და „მასების“ სიმპატიების, თანამგრძნობის, დახმარების მოპოვება, არ უნდა ვუფრთხილდეთ სიძნელეებს, არ უნდა ვუშინოდეთ ხრიკის მოდებისა, კვანტებისა, შეურაცხყოფისა, დევნისა „ბელადების“ მხრით... და აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ იქ, სადაც მასები არიან“.

კომინტერნის ალმასკომის XI პლენუმი თავის რეზოლუციაში აცხადებს, რომ მთავარი ნაკლი კომინტერნის უმეტეს სექციათა მუშაობაში მდგომარეობს.

„რეფორმისტულ პროფკავშირების შიგნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მუშაობის ოპორტუნისტულ ან სექტანტურ შეუფასებლობასა და უგულებელყოფაში“.

კომინტერნის ალმასკომის XII პლენუმმაც აგრეთვე გადაჭრით გაილაშქრა ანტიპროფკავშირული ტენდენციების წინააღმდეგ. აი ადგილი რეზოლუციიდან:

„კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპარტიებისა და რევოლუციური პროფორგანიზაციების მიერ მასების არასაკმაო მობილიზაციის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს დაუშვებლად სუსტი მუშაობა რეფორმისტული პროფკავშირების შიგნით... რეფორმისტული პროფბიუროკრატების გავლენის... დაძლევა არ შეიძლება არც ყვირილით პროფკავშირების დანგრევაზე, რასაც კომუნისტები არ ესწრაფვიან არც პროფკავშირებიდან გაქცევით, არამედ შეუპოვარი მუშაობით რეფორმისტული პროფკავშირების შიგნით, ბრძოლით რეფორმისტული პროფკავშირის თვითეული წევრისათვის, თვითეული არჩევითი ადგილისათვის პროფკავშირში“...

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ბრალი დავდოთ ალმასკომს იმაში, რომ მან არ იჩინა ინიციატივა პროფკავშირულ მუშაობაში სექტანტურ ტენდენციებთან ბრძოლის მხრივ.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ალმასკომი მართლაც ზოგიერთ შემთხვევაში არა სწრაფად და არა სათანადო ენერგიით გამოდიოდა იმ სექტანტური ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებმაც თავი იჩინა პარტიულ და განსაკუთრებით პროფკავშირულ მუშაობაში.

ალმასკომმა რამდენადმე დააგვიანა აგრეთვე სტრასბურგის კონფერენციის გადაწყვეტილების გამოსწორება, დაუყოვნებლივ არ შესცვალა ის ფორმულირებანი, რაც შემცდარი აღმოჩნდა და რამაც დიდი დამახინჯება გამოიწვია სექციათა მუშაობაში და არ შეესაბამებოდა შეცვლილ სიტუაციას.

ახლა გადავალ ახალგაზრდობის საკითხზე.

მშრომელი ახალგაზრდობის მასების დაპყრობა ეკუთვნის ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რიცხვს, განსაკუთრებით ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენი სექციები, რომლებიც ლეგალურ და არალეგალურ პირობებში მუშაობენ, უდიდეს ყურადღებას უნდა აქცევდნენ ახალგაზრდობის დაპყრობას და ღებულობდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს იმისათვის, რათა მხედველობაში მიიღებენ რა ახალგაზრდობის ლტოლვას აქტიური მოქმედებისაკენ სპორტისა, კულტურისა და პოლიტიკის დარგში, ჩააბან ახალგაზრდობა ერთიანი ფრონტის რიგებში და არ დაუშვან, რომ იგი ფაშისტური დემაგოგიის მსხვერპლი გახდეს.

ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში მრავალი ხნის განმავლობაში არსებობდა ძლიერი სექტანტური ჩვევები, რომლებიც ხელს უშლიდა ახალგაზრდობის მასობრივი მოძრაობის შექმნას. უკანასკნელ წლებში მდგომარეობა ახალგაზრდობის კომინტერნში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ახალგაზრდობის მოძრაობა ჯერ კიდევ მაინც არ ატარებს მასობრივ ხასიათს და შეიცავს სექტანტობის მეტად ძლიერ ელემენტებს.

რასაკვირველია, ახალგაზრდობის კომინტერნს ეკისრება პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი ახალგაზრდობას შორის მუშაობის სისუსტისათვის. მაგრამ ჩვენ, კომუნისტური ინტერნაციონალის ალმასკომი, ჩვენ, პარტიები, მთლიანად ახალგაზრდობის კომინტერნთან ერთად პასუხისმგებელი ვართ მშრომელი ახალგაზრდობის რევოლუციური ბრძოლის მხარეზე გადმობირებისათვის. კომუნისტური ინტერნაციონალის სექციები ახალგაზრდობის მოძრაობას უნდა უყურებდნენ როგორც თავისი მუშაობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს და უნდა აწარმოებდნენ ბრძოლას მშრომელი ახალგაზრდობის მასების გადმობირებისათვის ერთიანი ფრონტის მხარეზე, მათი რევოლუციური ბრძოლაში ჩაბმისათვის. ალმასკომის ამოცანაა თავისი მოღვაწეობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ძირითადი პოლიტიკური და ტაქტიკური გეზის გამომუშავებაზე და უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, ერიდოს ჩარევას სექციათა შინაურ ორგანიზაციულ საქმეებში.

ამხანაგებო!

მასების წინაშე დასმულია საკითხი: ფაშიზმი თუ სოციალიზმი, ომი თუ მშვიდობიანობა?

ესა თუ ის გამოსავალი დამოკიდებულია ჩვენი კლასის ძლიერებაზე, მისი ავანგარდის მუშაობაზე, კომუნისტებზე.

ჩვენს სექციებს ეკისრებათ უდიდესი პასუხისმგებლობა: უმოკლეს ვადაში მოიპოვონ გავლენა მასებში, რათა საშუალება ჰქონდეთ ეს მასები გადამწყვეტ ბრძოლებში წაიყვანონ.

ჩვენ ფეხი შევდგით მუშათა კლასის გათიშვის დაძლევის პერიოდში. ჩვენ მიერ დასახული მარშრუტი—ეს არის ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა, პროფმოძრაობის ერთიანობის შექმნა, ყველა მშრომელთა სახალხო ფრონტის შექმნა და პროლეტარიატის ერთიანი რევოლუციური პარტიის შექმნა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების ნიადაგზე თეორიულ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე.

ჩვენ, კომუნისტები, ვართ ინიციატორები და ორგანიზატორები მშვიდობიანობისა, თავისუფლებისა და პურისათვის მუშათა ბრძოლის უფართოესი ფრონტისა ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელთა ფრონტის წინააღმდეგ.

ასეთი ფრონტის შექმნა ადვილი საქმე როდია. საჭიროა, რათა მასებს ესმოდეთ ჩვენი, კომუნისტების, რათა ვისწავლოთ მასებთან ლაპარაკი მათი ენით, ვისწავლოთ, როგორ ავაგზნოთ და წარვმართოთ მასები.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ, როგორ ჩავაბათ საერთო ბრძოლაში სხვადასხვა შეხედულების, რწმენის, მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა მილიონები.

ამისათვის ისე უნდა შევცვალოთ ჩვენი მუშაობის სტილი და მეთოდები, რომ უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ მაქსიმალურად ფართო კავშირს ამ მასებთან.

ჩვენ, კომუნისტებს, უნდა შევწევდეს უნარი გამოვიყენოთ ყოველგვარი ცვლილება ცალკეულ ქვეყანათა ბურჟუაზიის პოლიტიკაში, ყოველგვარი წინააღმდეგობა მმართველი კლასების ბანაკში იმისათვის, რომ გავაჩაღოთ ბრძოლა რეაქციისა და ფაშიზმის, ომის საფრთხისა და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა ლენინის და სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უჩვენეს გზა მთელი მსოფლიოს მუშებს.

სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში ჩვენ, კომუნისტებს, და მასებს გვინერგავს ძალას, რომ მის მაგალითს მივბაძოთ.

ის კონტრასტი, რომელსაც საბჭოთა უკრაინის განვითარებასა და პოლონელი პანების უღელქვეშ მგმინავი დასავლეთ უკრაინის განვითარებას შორის თავის მკაფიო სიტყვაში ხაზი გაუსვა ამხ. პოპოვმა, — ცალკეულ უბანზე გვიჩვენებს ორი სამყაროს, სოციალიზმის სამყაროს და კაპიტალიზმის სამყაროს კონტრასტს.

ბურჟუაზია მსოფლიოს ფაშიზმისა და ომისკენ მიერეკება, რათა თავი დააღწიოს მშრომელი მასების რევოლუციური ფრონტის რკალს. ჩვენზე, კომუნისტებზე, მუშათა კლასზე არის დამოკიდებული, შესძლებს თუ არა ამას ბურჟუაზია...

კომუნისტური პარტიების პასუხისმგებლობა არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი, ისე სერიოზული, როგორც ამჟამად არის.

კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესი და მისი სექციები მოუწოდებენ მშრომელ მასებს გაერთიანებულად იბრძოლონ თავისუფლებისა, მშვიდობიანობისა, და პურისა, საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმისათვის.

პროლეტარიატის უმრავლესობის მიმხრობისათვის ბრძოლაში ჩვენი ლოზუნგია — **უფრო ფართოდ გაშალეთ ფრონტი! უფრო ღრმად შეიჭერით ყველა მასობრივ ორგანიზაციაში!**

კომუნისტური პარტიების შიგნით ჩვენი ამოცანაა პარტიების განმტკიცება და ჩვენი პარტორგანიზაციების პოლიტიკური დონის ამაღლება.

ამხანაგებო! იბრძოლეთ ჩვენი დიადი ამოცანის გადაჭრისათვის — იმისათვის, რომ მიაღწიოთ მთელი მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებას, კეთილდღეობას და ბედნიერებას (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში. მღერიან „ინტერნაციონალს“!**).

სიმამაცის და სიდინჯის მაგალითი

კოკისპირულმა წვიმამ, სიბნელემ, უამინდობამ ვერ შეაჩერა საბჭოთა გიგანტური ფრინველის „სსრკ—025“ აფრენა. გუშინ დილის სრულ 6 საათზე ჩვენი მამაცი მფრინავები ლევანევსკი, ბაიდუკოვი და ლევჩენკო აფრინდნენ მოსკოვის განაპირა აეროდრომიდან და კურსი აიღეს ჩრდილოეთისკენ, პოლუსისკენ, სარეკორდო შორეულ და სარეკორდო გმირულ გაფრენისკენ.

შეიძლება თამამად ითქვას: გუშინ მთელი მსოფლიო თვალს ადევნებდა მათ გაფრენას და ადამიანთა მილიონების გული განუყრელად მათთან იყო; ადამიანთა მილიონები ფიქრით და გრძნობით ლევანევსკისთან, ბაიდუკოვთან და ლევჩენკოსთან ერთად მიფრინავდნენ მდინარე ვოლგაზეც, მდინარე გოლოგაზეც, მათთან ერთად უახლოვდებოდნენ თეთრ ზღვას, გადასჭრეს ის, მიდიოდნენ ბარენცის ზღვაზე.

დიდძალი ხალხი იდგა გაზეთების სარედაქციო ვიტრინებთან, სადაც აღინიშნებოდა მოკლე, ამაღელვებელი რადიოგრამები თვითმფრინავის ქიმიდან:

7 საათი და 25 წუთი. გადავუარეთ მდინარე ვოლგას, კალინინის ჩრდილოეთით. სიმაღლე 250 მეტრი, ღრუბლები—ზევითაა. ცა მოწმენდილია, ყველაფერი რიგზეა.

8 საათი და 17 წუთი. გადავუარეთ მდინარე მოლოგას. სიმაღლე 800 მეტრი. ცა მოწმენდილია. გადაცემას ვაწარმოებთ 5.492 ტალღაზე

11 საათი და 42 წუთი. ვუახლოვდებით თეთრ ზღვას. ცა მოწმენდილია...

12 საათი და 04 წუთი. გავიარეთ ონეგა.

12 საათი და 44 წუთი. მივფრინავთ თეთრი ზღვაზე.

13 საათი და 21 წუთი. ვიმყოფებით თეთრი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე.

14 საათი და 25 წუთი. მივაღწიეთ ბარენცის ზღვას.

არა მარტო მოსკოვის, ლენინგრადის, მურმანსკის, არხანგელსკის, არამედ დიქსონის შორეული კუნძულის გულისყურიც თითქოს მთლად მიპყრობილი იყო რადიოს მიღებაზე. უკვე დილის 9 საათსა და 30 წუთზე ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა დიქსონის კუნძულიდან აცნობა რედაქციას: „დილის 8 საათსა და 13 წუთზე ვაიგაჩის რადიოსადგურმა 55-მეტრიან ტალღაზე მიიღო ლევანევსკის თვითმფრინავიდან: „გავიარეთ მოლოგა, ცა მოწმენდილია“.

დეპეშები—უბრალო და ამაღელვებელი—ზედიზედ მოდიოდა. ტელეფონის ზარი განუწყვეტლივ წკრიალებდა გაზეთების რედაქციების და ჩრდილოეთის საზღვაო გზის სამმართველოს ყველა ოთახში...

უკვე დილის 10 საათსა და 20 წუთზე რადიოცნობებში გაისმა პირველი საშიში ნოტები. „ილევება ზეთი. მიზეზი გამოურკვეველია“,— გაიელვა ერთ რადიოგრამაში. და შემდეგ [illegible] ამას [illegible] „რადიო“, [illegible] იტყობინებოდნენ თუ რამდენი კილომეტრი [illegible] მოსკოვისაგან, არხანგელსკისაგან, მატერიკისაგან, და ბარენცის ზღვაზე, მოსკოვიდან გაფრენის თითქმის 10 საათის შემდეგ, ნათელი გახდა მფრინავებისათვის, რომ შემდგომი ფრენის რისკი მეტად დიდია, რომ ზეთის დაღვრა მკვეთრად იზრდება, რომ ფრენის გაგრძელება ნიშნავს აუცილებლად სადმე იძულებით დაშვებას ჩრდილოეთის პოლუსის ახლოს. საბჭოთა მფრინავებმა კი სიმამაცის, გმირობის და გამბედაობის ცეცხლოვანი აღგზნება შეერთებული აქვთ გონების სიფხიზლესთან, ცივ ანგარიშთან, კოლოსალურ თავდაჭერასთან, იმის უნართან, რომ ყოველგვარ გარემოებაში მონახო ყველაზე სწორი გზა, გამოსავლის გადაწყვეტა.

და თვითმფრინავის რადიოსადგურმა, როგორც ეს ჩანს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობიდან, გაგზავნა მოსკოვში შეკითხვა ნება დაერთოთ შეეწყვიტათ ფრენა დანიშნული მარშრუტით და დაბრუნებულიყო ერთერთ აეროდრომზე ლენინგრადის რაიონში.

ცხადია, ნებართვა მისცეს, რადგან მამაცი მფრინავების წინადადება ერთადერთი სწორი წინადადება იყო, როდესაც სახარჯო ავზიდან ზეთი ილევებოდა, რისი თავიდან აცილება ფრენის დროს შეუძლებელი შეიქნა. დიდი ოსტატობით მოაბრუნა ლევანევსკიმ თვითმფრინავი ლენინგრადისკენ. ამოცანა მეტად რთული იყო: გვიან საღამოთი მოეყვანა თვითმფრინავი-გიგანტი მოსკოვიდან ნაჩვენებ აეროდრომამდე და, რაც განსაკუთრებით ძნელია, მოეხდინა ამ უზარმაზარი და მძიმე მანქანის ძირს დაშვება. ეს ოპერაცია საუცხოოდ იქნა გადაჭრილი; თავის დროზე და მოხერხებულად იქნა გამოშვებული თვითმფრინავიდან ბენზინის ის ნაწილი, რომელიც აძნელებდა თვითმფრინავის დაშვებას, და 34-მეტრიანი ფრინველი სრულიად დაუზიანებლად დაეშვა მიწაზე.

და მთელი ჩვენი დიადი სამშობლო, მილიონობით ადამიანები, რომელთა გული აჩქარებულად ძგერდა გუშინ „სსრკ—025“ ფრენის საათებში, ერთი წუთითაც არ დაეჭვებულან და არც დაეჭვდებიან იმაში, რომ ასეთი მფრინავები, ასეთი შევარდნები თავისას გაიტანენ: ისინი შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ყველა ამოცანას. ქმედითი სიმამაცით და განხორციელებულ თამამ ზრახვათა მსოფლიო რეკორდები ჩვენი იქნება.

„პრავდა“, 4 აგვისტო.

შენსი „კომუნისტური აქტივობის ცენტრია“

ტოკიო, 3 აგვისტო. „ციუგაი სოგიო“ იტყობინება ჩინეთის წითელი არმიის აქტივობის გაძლიერებას შენსისა და შანსის პროვინციებში და სწერს, რომ შენსის პროვინცია ხდება „კომუნისტური აქტივობის ცენტრი“. ვინაიდან შენსის ყველა 23 მაზრა ფაქტიურად უკვე წითელია, 8 მათგანი მთლიანად გასაბჭოებულია, დანარჩენმა 15-მა კი ნაწილობრივ შემოიღო საბჭოთა სისტემა“. შენსის ჩრდილოეთ ნაწილში, — განაგრძობს გაზეთი, — დაარსებულია რევოლუციური კომიტეტი, სამხედრო სკოლა და აეროდრომი. ჩინეთის წითელმა არმიამ სიუ-ხაი-დუნის სარდლობით სწრაფი გაზეთი, უკვე დაიკავა 11 მაზრა შანსიში, ხუანხეს (ყვითელი მდინარე) გასწვრივ, იმ დროს, როცა სიუ-სიაჩენის წითელმა არმიამ, რომელიც შენსის ჩრდილოეთ ნაწილიდან მოიწევდა, უკვე დაიკავა განსუს რამდენიმე მაზრა. (ტას).

□ □ □

პროტესტი იაპონიის მოქმედების წინააღმდეგ ჩინეთში

„ჩინეთის ხალხის მეგობართა“ ამერიკულმა საზოგადოებამ 20 ივნისს გამართა დემონსტრაცია იაპონიის მოქმედების წინააღმდეგ ჩინეთში. დემონსტრანტები მივიდნენ იაპონიის საკონსულოსთან და მოითხოვდნენ იაპონიის ძალების დაუყოვნებლივ გაწვევას ჩინეთიდან.

3 აგვისტოს დილის სხდომის დღიური

ამხ. დიმიტროვის მოხსენების გამო კამათში პირველი გამოდის საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელი ამხ. **ტორეზი**. ფრიად შინაარსიან, ფაქტებით სავსე 4 საათიან სიტყვაში ამხ. ტორეზმა კონგრესს არსებითად გაუკეთა ვრცელი მოხსენება საფრანგეთის კომპარტიის მუშაობის ძირითად პრობლემათა შესახებ, პირველ ყოვლისა, საფრანგეთის კომუნისტთა იმ დიდი მუშაობის შესახებ, რომელიც გასწიეს ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ერთიანი სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის შესაქმნელად.

— ისე არავის შეეძლო უფრო მეტი უფლებითა და საქმის უფრო დიდი ცოდნით ელაპარაკა ფაშიზმზე, — იწყებს ამხ. ტორეზი სიტყვას — როგორც ამხ. დიმიტროვს, რომლის გაბედულმა და მედგარმა გამოსვლებმა ლეიპციგის პროცესის დროს ძლიერი ბიძგი მისცა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნას. კონგრესი ამხ. ტორეზის ამ სიტყვებს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

ამხ. ტორეზი ლაპარაკობს ერთიანი სახალხო ფრონტის იმ მზარდი მოძრაობის შესახებ საფრანგეთში, რომლის მკვეთრი გამოხატულება ა. წ. 14 ივლისის დემონსტრაცია იყო. ამ დემონსტრაციაში მასებმა გამოიჩინეს უდიდესი სიმპატია და უდიდესი ნდობა კომპარტიის მიმართ — ერთიანი სახალხო ფრონტის ინიციატორისა და ორგანიზატორის მიმართ. ამავე დროს ამხ. ტორეზი ბოლშევიკური თვითკრიტიკით აღნიშნავს, რომ მიუხედავად ერთიანი ფრონტის ამ წარმატებისა, არ შეიძლება ფაშისტური საფრთხის შეუფასებლობა საფრანგეთში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. **საფრანგეთის** კომპარტიის წარმატებათა პირველი დამამტკიცებელია გასული წლის 12 თებერვლის გაფიცვა, რომელშიც გაერთიანდა ყველა დარგის ოთხნახევარი მილიონი მუშა და მოსამსახურე. **საფრანგეთის მუშათა კლასმა,** — აცხადებს ამხ. ტორეზი. — **შესძლო თავისი კომპარტიის ხელმძღვანელობით უკუეგდო ფაშისტების პირველი სერიოზული შემოტევა.** ამ განცხადებას კონგრესი ტაშით ეგებება.

ამხ. ტორეზი იძლევა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტიკისა და ტაქტიკის ღრმა და ამომწურავ ანალიზს. ამ პოლიტიკისა და ტაქტიკის გატარების შედეგად მშრომელთა უფრო და უფრო ფართო მასები ყოველ დღიურად გადმოდიან ერთიანი ფრონტის მხარეზე. კომუნისტურ პარტიას, ამბობს ამხ. ტორეზი, შეუძლია გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის, თუ ის აქტიურად უხელმძღვანელებს სახალხო ანტიფაშისტურ ფრონტს. თუ მასების ზეგავლენით შეიქმნება ამ სახალხო ფრონტის მთავრობა, მაშინ კომპარტია მხარს დაუჭერს ასეთ მთავრობას და, შესაძლოა, მონაწილეობაც მიიღოს მასში.

ამხ. ტორეზი თავისი სიტყვის დიდ ნაწილს ანდომებს პროლეტარიატის პოლიტიკური ერთიანობის პრობლემას, რაზედაც ამხ. დიმიტროვი ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში. ამხ. ტორეზი ხაზს უსვამს ამ ერთიანობის აუცილებლობას რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე, მოჰყავს მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები და ამბობს, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბელადები ყველაფერს აკეთებენ, ოღონდ კი ხელი შეუშალონ ერთიანი სახალხო ფრონტის განხორციელებას.

ამხ. ტორეზი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მშრომელ მასებს ესმით და ისინი მთლიანად იწონებენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, რომლის მიზანია იმპერიალისტური ომის აცილება. ამ სიტყვებს კონგრესი ტაშით ეგებება.

ამხ. ტორეზი ბოლშევიკური თვითკრიტიკით ლაპარაკობს საფრანგეთის კომპარტიის მუშაობის სუსტ მხარეებზე პროფკავშირებში, გლეხებში და სხვა დარგში. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა დიდი ინიციატივისა და მოქნილობის გამოჩენა პარტიის ძირეულ ორგანიზაციებში.

„რევოლუცია თავისთავად არასოდეს არ მოდის, იგი უნდა მოეწყოს“, — ჩვენ გვახსოვს ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები, — ამბობს ამხ. ტორეზი.

ჩვენ აღსავსენი ვართ ნებისყოფით და გაბედულობით — ვიაროთ რუსეთის ბოლშევიკების გზით, ვიბრძოლოთ მთელი მუშათა კლასის გაერთიანებისათვის, მშვიდობიანობისათვის, სსრ კავშირის დაცვისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ გამარჯვებაში.

ამ უკანასკნელი სიტყვების დროს მთელი კონგრესი ფეხზე დგება და მქუხარე ტაშით აცილებს საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელს. საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციის სკამებიდან გაისმის „ინტერნაციონალის“ სიმღერა, რომელსაც მთელი კონგრესი ბანს აძლევს.

დილის სხდომის დასასრულს სიტყვა ეძლევა ამხ. **პოლიტს** (ინგლისის კომპარტია), რომლის სიტყვა გაგრძელდება საღამოს სხდომაზე.

3 აგვისტოს საღამოს სხდომის დღიური

საღამოს სხდომაზე ამხ. **გორკიჩის** (სამხრეთ-სლავია) თავმჯდომარეობით, ამხ. **პოლიტი** განაგრძობს თავის სიტყვას, რომელიც დილის სხდომის დასასრულს დაიწყო.

ამხ. პოლიტი ხაზს უსვამს ინგლისის კომპარტიის პასუხისმგებლობას მუშათა კლასის მდგომარეობისათვის იმ როლის გამო, რომელსაც ინგლისის იმპერიალიზმი მსოფლიო პოლიტიკაში თამაშობს. ამხ. პოლიტმა აღნიშნა ფაშისტური საფრთხის ზრდა ინგლისში, ინგლისის ბურჟუაზიის გადასვლა მუშათა კლასის წინააღმდეგ უფრო და უფრო აშკარა შეტევის მეთოდებზე, კონგრესს მოუთხრობს ინგლისის კომპარტიის ბრძოლის გამოცდილებას ერთიანი ფრონტისათვის. კომპარტიამ, ამბობს ამხ. პოლიტი, მოთმინებით და დაბეჯითებით უნდა იბრძოლოს რეფორმისტული ილუზიების წინააღმდეგ მუშათა კლასის შიგნით. მან უნდა დაუმტკიცოს და განუმარტოს მუშებს, რომ საბოლოო გამარჯვება მხოლოდ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის გზით არის შესაძლებელი. ამავე დროს კომპარტიამ დაუღალავად უნდა იბრძოლოს მშრომელთა უშუალო და ყოველდღიური მოთხოვნებისათვის.

ამხ. პოლიტი განსაზღვრავს ერთიანი სახალხო ფრონტის ამოცანებს რეაქციასთან და მშრომელთა წინააღმდეგ მიმართულ შეტევასთან ბრძოლაში.

ინგლისის მუშათა პარტიის ბელადები უარჰყოფენ კომუნისტურ პარტიასთან ერთიანი ფრონტის ყოველნაირ ფორმას, ამბობს შემდეგ ამხ. პოლიტი, — და ამავე დროს ამტკიცებენ, რომ მათი პარტია და მათი პროფკავშირები უკვე წარმოადგენენ ერთიანი ფრონტის ასეთ ფორმასაო. მუშათა პარტიის ბელადების ეს მტკიცება ჯერ კიდევ მრავალ მუშას სჯერა. თუ მუშათა პარტია დასთანხმდება თავის რიგებში მიიღოს რევოლუციური ორგანიზაციები, ამას მთელი მუშათა კლასი კმაყოფილებით შეჰხვდება.

ჩვენ ვფიქრობთ, ამბობს ამხ. პოლიტი, რომ ეს შეესაბამება ერთიანი ფრონტით ბრძოლის ამოცანებს და რომ ეს პირველი ნაბიჯი იქნება მუშათა კლასის ერთიანი მასობრივი პოლიტიკური პარტიის შექმნის საქმეში.

ფაშიზმი ევროპაში, ამბობს შემდეგ ამხ. პოლიტი, წარმოადგენს ახალი იმპერიალისტური ომის კერას, პირველ რიგში მიმართულს საერთაშორისო პროლეტარიატის ბურჯის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მუშათა კლასს ნათლად ესმის, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ფაშიზმი და ომი ავიცდინოთ. ამ ამოცანას კისრულობს კომუნისტური პარტია. ამხ. პოლიტის ამ სიტყვებს კონგრესი მქუხარე ტაშით ეგებება.

შემდეგ ამხ. პოლიტი მოაგონებს კონგრესს იმ ანკეტას მშვიდობიანობისათვის ბრძოლის საკითხზე, რომელიც ჩაატარეს ინგლისში და რომელმაც 11 მილიონი ხმა მოაგროვა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. უეჭველია, ასეთივე შედეგები იქნებოდა, ამბობს ამხ. პოლიტი, ფაშიზმის საკითხზე რომ ჩატარებულიყო ანკეტა.

ამხ. პოლიტი აღნიშნავს კომინტერნის VII კონგრესის ისტორიულ მნიშვნელობას და თავის სიტყვას ასრულებს განცხადებით, რომ ინგლისის კომპარტია კისრულობს ვალდებულებას მთელი თავისი ძალები შემოიკრიბოს იმ ისტორიულ ამოცანათა განსახორციელებლად, რომელიც მუშათა კლასის წინაშეა დასახული. ამ განცხადებას კონგრესი ტაშით ეგებება.

ამხ. პოლიტის შემდეგ გამოდის პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენელი ამხ. **ლენსკი**, რომელსაც მთელი კონგრესი ოვაციით ხვდება. ამხ. ლენსკი ლაპარაკობს ამხ. დიმიტროვის მოხსენებაში დასმულ პრობლემათა როლისა და მნიშვნელობაზე იმ ქვეყნებისათვის, სადაც გლეხური მოსახლეობის ხვედრითი წონა დიდია. ამხ. ლენსკი განუმარტავს კონგრესს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის კონკრეტულ გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის ბირთვს; ამ სახალხო ფრონტის ლოზუნგი უნდა იყოს: „პური, შრომა და თავისუფლება“. ლენინურად გატარებულმა ერთიანი ფრონტის ტაქტიკამ საშუალება მისცა ჩვენს პარტიას პირველხარისხოვან პოლიტიკურ ფაქტორად გამხდარიყო. ამხ. ლენსკიმ გამოააშკარავა მემარჯვენე ოპორტუნისტების „თეორიები“, აგრეთვე „მემარცხენე“ სექტანტობა პოლონეთის კომუნისტური პარტიის რიგებში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტები, იბრძვიან რა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მუშურ-გლეხური მთავრობისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მშრომელთა ნამდვილი დემოკრატიისათვის, მზად არიან მხარი დაუჭირონ დემოკრატიულ ღონისძიებებს ყოველი ანტიფაშისტური მთავრობისა, რომელიც კი განახორციელებს ერთიანი ფრონტის პლატფორმას. შესაძლებელია თუ არა ასეთი მთავრობა? დიახ, სავსებით შესაძლებელია, უპასუხებს ამხ. ლენსკი.

ანტიფაშისტური სახალხო ფრონტი, აცხადებს ამხ. ლენსკი, მიმართული უნდა იყოს პოლონეთის ფაშიზმის სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ, კერძოდ ფაშისტურ გერმანიასთან სამხედრო კავშირის წინააღმდეგ. პოლონეთის ხალხის მასებს, რომლებმაც განიცადეს გერმანიის ოკუპაციის უღელი, კარგად ესმით, რომ გერმანიის ფაშიზმი მოსისხლე მტერია პოლონეთის ხალხის დამოუკიდებლობისა, რომ აღმოსავლეთში გერმანიის იმპერიალიზმის ექსპანსიის პოლიტიკა, რასაც პილსუდსკელები მხარს უჭერენ, განხორციელებული იქნება პოლონეთის მშრომელთა სისხლის ხარჯზე, და ამავე დროს პოლონეთი ვასალურად დამოკიდებული იქნება ჰიტლერის გერმანიისგან. ამ ჭეშმარიტებას ვერ დამალავენ მაგნატი ბატონი რაძივილები, თავადი საპეგები და გერმანიის იმპერიალიზმის სხვა ლაქიები, რომლებსაც სურთ ჰიტლერის ექსპანსია, როგორც ისინი ამბობენ ლაღი წარმართონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პილსუდსკელები ამაოდ ცდილობენ დაუმტკიცონ პოლონეთის მშრომელ მოსახლეობას, რომ ჰიტლერის მიმდევართა პოლიტიკა თითქოს პოლონეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არ იყოს მიმართული. პოლონეთის ხალხის მასები იწყებენ იმის შეგნებას, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის ერთადერთი და თანმიმდევარი მომხრე სსრ კავშირია.

კომუნისტები, ხაზს უსვამს ამხ. ლენსკი, ყურადღებით უნდა მოეპყრან არამარტო უკრაინელი, ბელორუსი, გერმანელი და ებრაელი მუშებისა და გლეხების, არამედ აგრეთვე პოლონელი მუშებისა და გლეხების ეროვნულ გრძნობას.

და მშრომელი მასები ხედავდნენ კომუნისტებში არა ცხოვრებისაგან მოწყვეტილ კოსმოპოლიტებს, არამედ თანმიმდევარ მებრძოლებს ფაშისტურ ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ და მშრომელთა კულტურის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ამხ. ლენსკი შეჩერდა კომპარტიის ამოცანებზე დასავლეთ-უკრაინასა და დასავლეთ-ბელორუსიაში, რის შემდეგ განსაზღვრა კომპარტიის ტაქტიკა გლეხობისადმი მიმართ და წამოაყენა მოთხოვნათა ფართო პროგრამა გლეხური მასებისათვის.

შემდეგი სხდომა გაიმართება 4 აგვისტოს, დილის 11 საათზე.

საჴ. ოპერის მუშაკთა მიმართვა ამხ. ლ. ბ ე რ ი ა ს

ჩვენო ძვირფასო ამხანაგო, ლავრენტი პავლესძევ!

ტფილისის ოპერის მუშაკთა საერთო კრება მხურვალედ მოგესალმება შენ, მტკიცე ბოლშევიკს, ამიერ-კავკასიის კომუნისტთა ღირსეულ ხელმძღვანელს.

შენმა დაუღალავმა ზრუნვამ ჩვენს მხარეში სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის და, კერძოდ, ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილი საოპერო ხელოვნების განმტკიცებისა და შემდგომი აღმავლობისათვის შენმა უკანასკნელმა მითითებებმა ამ მუშაობის გადაჭრით გარდაქმნის შესახებ ჩვენში, ტფილისის ოპერის კოლექტივში, ღრმა ენტუზიაზმის გრძნობა გამოიწვიეს.

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი! გაძლევთ საბჭოთა აქტიორის პატიოსან სიტყვას, — საბჭოთა აქტიორისა, რომლის სახელწოდება ასე დიდად დაფასებულია და ასე დიდ მოვალეობას გვაკისრებს, რომ ჩვენ მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ ტფილისის ოპერა საბჭოთა კავშირის საუკეთესო საოპერო თეატრების პირველ რიგებში ჩავაყენოთ

ჩვენ ძალღონეს არ დავზოგავთ იმისათვის, რომ ჩვენი თეატრალური წარმოება გადავაქციოთ ამიერ-კავკასიის ხალხების საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთიერთ კერად: რომ უფრო მეტად მისაწვდომი გავხადოთ საოპერო ხელოვნება მშრომელთა ფართო მასებისათვის; რომ უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ ტფილისის სახელმწიფო ოპერის მხატვრული პროდუქცია.

გაუმარჯოს ლენინელ—სტალინელთა უძლეველ არმიას, საკ. კომპარტიას, რომელმაც მძლავრად გაშალა მშრომელთა მილიონების საუკუნეებით დაბეჩავებული შემოქმედებითი ძალები, რომელსაც საბჭოების ქვეყანა განუხრელად მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, რომელმაც შექმნა კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო შესაძლებლობა საბჭოთა ბედნიერი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და ნამდვილი კულტურული ცხოვრებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მესაჭეს, დიდად საყვარელ იოსებ **სტალინს!**

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის ბოლშევიკებს და მათ ერთგულ წინამძღოლს ამხანაგ ბერიას!

ტფილისის სახელმწიფო ოპერის 400 კაცისაგან შემდგარი კოლექტივის სახელით:

ქუმსიაშვილი (ოპერის არტისტი), **ა. წუწუნავა** (სახალხო არტისტი), **ფ. მუხტაროვა** (ოპერის არტისტი), **ინაშვილი** (დამსახურებული არტისტი), **ცირლილაძე** (არტისტი), **ბუთხუზი** (არტისტი), **ევლახოვი** (დამსახ. არტისტი), **ბარხუდაროვი** (ბალეტის რეჟისორი), **ჯანაშია** (არტისტი), **გველესიანი** (დირიჟორი), **ამინაშვილი** (სცენის მუშა), **გალუსტოვი** (სცენის მემანქანე), **შაპოშნიკოვი** (არტისტი), **ისეცკი** (დამსახ. არტისტი), **პევნი** (გუნდის არტისტი), **ნეიმანი** (ორკესტრის არტისტი), **ყვარელაშვილი** (არტისტი), **სტუპელი** (ორკესტრის არტისტი), **ქურხული** (რეჟისორი), **გასტენინა** (არტისტი), **ფარაჯანოვი** (მხატვარი).

ერთა ლიგის საბჭოს რეზოლუცია იტალია-აბისინიის კონფლიქტის გამო

ჟენევა, 3 აგვისტო. დღეს, საღამოს, ლიტვინოვმა გახსნა ერთა ლიგის საბჭოს სხდომა და წარუდგინა მას ორი რეზოლუცია იტალია - აბისინიის კონფლიქტის გამო. პირველ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ თანახმად იტალიასა და აბისინიას შორის ნოტების გაცვლისა საზღვართა საკითხები არ შედის არბიტრაჟის კომპეტენციაში და რომ საარბიტრაჟო კომისიის ამოცანაა უალ-უალში მომხდარი ინციდენტის გარჩევა. ამასთან ნათქვამია: კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ორივე მხარის ადგილობრივ ხელისუფალთ შეიძლება ჰქონოდათ სხვადასხვა შეხედულება იმაზე, თუ ვის ეკუთვნის უალ-უალი. საბჭო აღნიშნავს, რომ ორივე მხარე თანახმაა განაახლონ მუშაობა ამ კომისიაში და რომ მათ განზრახვა აქვთ დაუყონებლივ დასახონ მეხუთე არბიტრი. დასასრულ, საბჭო მოუწოდებს ორივე მხარეს აცნობონ საბჭოს შედეგები ა.-წლის 4 სექტემბრამდე მაინც.

მეორე რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საბჭო ყოველ შემთხვევაში შეიკრიბება 4 სექტემბერს, რათა განიხილოს იტალია-აბისინიის ურთიერთობა მთლიანად.

აბისინიის წარმომადგენელმა ჟეზმა განაცხადა, რომ აბისინია ისწრაფვის გაუადვილოს საბჭოს მისი ამოცანა, ამიტომ თანახმაა ხმა მისცეს წარმოდგენილ რეზოლუციებს და რომ იგი მიიღებს საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებას.

ალოიზიმ (იტალია) განაცხადა, რომ ხმას მისცემს პირველ რეზოლუციას, ხოლო მეორე რეზოლუციისათვის კენჭისყრის დროს თავს შეიკავებს იმ მიზეზების გამო, რომლებიც მან საბჭოს 31 ივლისის სხდომაზე აღნიშნა.

ლავალმა გამოსთქვა იმედი, რომ კომისია, როცა მეხუთე არბიტრი დაინიშნება, შესძლებს წარმატებით შეასრულოს თავისი ამოცანა: მაგრამ საფრანგეთის როლი ამით არ თავდება. საფრანგეთი ყველა საშუალებით ხელს შეუწყობს შეთანხმების მიღწევას.

იდენმა ხაზი გაუსვა, რომ შემთანხმებელი კომისიის პროცედურა ეყრდნობა იტალია - აბისინიის 1928 წლის ხელშეკრულების მე-5 მუხლს (ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ შემთანხმებელი პროცედურის დროს ძალას არ უნდა მიმართონ). შემდეგ მან გამოსთქვა კმაყოფილება, რომ საბჭო შეიკრიბება 4 სექტემბერს გარემოებათა დამოუკიდებლად. იდენმა აღნიშნა, რომ ინგლისი მოლაპარაკებას გამართავს დაინტერესებულ სახელმწიფოებთან კონფლიქტის გადაჭრის გასაადვილებლად. იგი შეჰპირდა საბჭოს, რომ ინგლისი მოიმოქმედებს ყველაფერს, რათა ომი თავიდან იქნას აცილებული და ამით იგი შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებსაც მას ერთა ლიგის წესდება აკისრებს.

ლიტვინოვმა დასკვნით სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭო ცნობად მიიღებს სახელმწიფოთა განცხადებას, რომ მათ განზრახვა აქვთ გამართონ მოლაპარაკება კონფლიქტის გადაჭრის გასაადვილებლად. ლიტვინოვმა საბჭოს სახელით მადლობა გამოუცხადა ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებს მათი მეცადინეობისათვის, რომ მხარეები შეთანხმებულიყვნენ. შემდეგ ლიტვინოვმა კენჭი უყარა ორივე რეზოლუციას. პირველი რეზოლუცია მიიღეს ერთხმად, მეორე რეზოლუციის კენჭისყრის დროს იტალიის წარმომადგენელმა თავი შეიკავა.

კენჭისყრის შემდეგ საბჭოს სხდომა დაიხურა.

ჟენევა, 3 აგვისტო. ერთა ლიგის წრეებში დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გამო. აქ აღნიშნავენ, რომ ეს გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ საუკეთესო გამოსავალს მდგომარეობიდან.

პოსტმა გადასდო თავისი შემდგომი გაფრენა

ნიუ-იორკი, 3 აგვისტო. იუნაიტედ პრესის სააგენტო სიტლიდან იტყობინება, რომ პოსტმა გადასდო შემდგომი გაფრენა. ამის მიზეზია არახელსაყრელი ამინდი იუნოს და კეტჩიკანის მახლობლად (ალიასკა), სადაც ცუდი ხილვადობა და ძლიერი მოღრუბლულობაა. (ადს).

წყალქვეშა ნავში „ბ—3“ დაღუპულთ დღეს ასაფლავებენ

ლენინგრადი, 3 ივლისი. („პრავდის“ კორესპონდენტი). დღეს სრუტეს ფსკერიდან ამოღებულ იქნა ჩაძირული ნავი მისი დაღუპული ეკიპაჟით. დღეს ნაშუადღევს მაშველმა გემმა „კომუნამ“ ნავი ბუქსირით მოიყვანა ამხ. მოროზოვის სახელ. ნავთმისადგომთან.

„კომუნის“ ქიმზე იმყოფებიან—ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ჩუდოვი**, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **უგაროვი**, ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **კოდაცკი**, ბალტიის ფლოტის სარდალი ამხ. **გალერი**, პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. **გრიშინი**, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ლენინგრადის ოლქში ამხ. **ზაკოვსკი**, საგანგებო დანიშნულების წყალქვეშა სამუშაოთა ექსპედიციის უფროსი ამხ. **კრილოვი**.

კრეისერთა, წყალქვეშა ნავთა, კატერების, ყველა გემთა და ფორტთა კომანდები სამხედრო წესით პატივს სცემდენ დაღუპულ ამხანაგებს.

18 საათსა და 45 წუთზე წყალქვეშა ნავის კვეთილში უშვებენ კიბეს. 19 საათსა და 15 წუთზე წყალქვეშა მეზღვაურთა ცხედრები გამოაქვთ ნაპირზე. მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

დასაფლავება მოხდება ხვალ.

14 საათზე დაღუპულთა ცხედრებს გამოასვენებენ საზღვაო ჰოსპიტლიდან. დაღუპულ ამხანაგთა კუბოებიან ავტომანქანებს გაჰყვებიან დაღუპულთა ნათესავები, სარდლობა, სამხედრო საპატიო ყარაული იარაღით, სამოქალაქო ორგანიზაციები და სამხედრო ნაწილები. დაღუპულ ამხანაგებს დაკრძალავენ ძმათა სასაფლაოზე.

კრონშტადტში ჩამოდიან განსვენებულთა ნათესავები და ოჯახის წევრები. ორანიენბაუმში მათ შეხვდება სპეციალური გემები და კატერები.

დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად ბალტიის მეზღვაურები ანძლიერებენ თავის საბრძოლო მზადყოფნას.

სარდლობა ყოველდღიურად ღებულობს იმ მებრძოლთა განცხადებებს, რომლებსაც სურთ ვადაზე ზევით დარჩნენ სამსახურში.

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი. შუაში: ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ი. ქოჩიაშვილი, დირექტორის მოადგილე პროფ. შ. მიქელაძე.

საკავშირო ცაკის 1934 წლის 3 სექტემბრის დადგენილება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ექიმთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს და ამ საქმის განსახორციელებლად იძლევა განსაზღვრულ კონკრეტულ ღონისძიებებს. ეს კონკრეტული ღონისძიებებია, ჯერ ერთი, ექიმთა კვალიფიკაციის ინსტიტუტების დაარსება და, მეორე,—სოფლის ექიმების 3 წელიწადში ერთხელ მივლინება ასეთ ინსტიტუტში. ამ მივლინების დროს ექიმს ეძლევა სტიპენდია, უფასო ბინა და ენახება მთლიანად ხელფასი მისი სამსახურის ადგილეზე. ასეთი დადგენილება ძირითადათ სწყვეტს ექიმთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს. ეს საქმე აღიარებულია სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ, ვინაიდან ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება საჭიროა არა მარტო თვით ექიმისათვის, არამედ უმთავრესად საჭიროა მშრომელთა ფართო მასებისათვის.

სულ სხვას ვხედავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება თვითეული ექიმის კერძო საქმედ არის მიჩნეული. მართალია, იქ მოწყობილია ექიმთა გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ხანმოკლე კურსები, მაგრამ ამ კურსებს აწყობს არა სახელმწიფო, არამედ კერძოდ ესა თუ ის პროფესორი ან უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაცია. ექიმს, რომელიც ასეთი კურსების მოსმენა უნდა, არა თუ არ ეძლევა რაიმე სტიპენდია, არამედ არ ენახება არც ხელფასი და კურსების მოსმენისათვის განსაკუთრებული ფასის გადახდაც უხდება.

საქართველოში ექიმთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს უკვე 1933 წლიდან მიექცა ყურადღება. ამ წელს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან დაარსდა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რომელზედაც მოდიოდნენ პროვინციის ექიმები თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

წელს კი ეს კურსები გადაკეთდა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო ინსტიტუტად.

პირველი სემესტრი ივლისისათვის დამთავრდა. ამ სემესტრში შესდგა 4 ციკლი: თერაპიული, რომელზედაც იყო 15 ექიმი, ტროპიკული სნეულებებისა, რომელზედაც 17 ექიმი იყო, კანისა და ვენერიულ სნეულებათა, რომელზედაც 6 ექიმი იყო და კვების, ჰიგიენისა და სანიტარიის, რომელზედაც 10 ექიმი იყო. ეს უკანასკნელი ციკლი მიმდინარეობდა წარმოების მოუწყვეტლივ, რადგანაც მოწყობილი იყო ქ. ტფილისის კვების სასანიტარო ექიმთათვის. ამგვარად, პირველ სემესტრში ინსტიტუტში კვალიფიკაცია აიმაღლა 48 ექიმმა, რაც მეტად სასარგებლო საქმედ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ექიმთა რიცხვი (48) საქართველოსათვის, სადაც 3000 ექიმია, რა თქმა უნდა, შედარებით მცირე იყო.

შემოდგომის სემესტრში დამთავრდება ექიმების გადამზადება რენტგენოლოგიაში (7 ექიმი) და, თანახმად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გეგმისა, შესდგება კიდევ 5 ციკლი: 1) თერაპიული—20 ექიმისათვის, 2) ქირურგიული—15 ექიმისათვის, 3) პედიატრიული —15 ექიმისათვის, 4) სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური—20 ექიმისათვის და 5) ჯანგანყოფილებების გამგეთა—10 ექიმისათვის.

ამგვარად, შემდგომაზე კვალიფიკაციას აიმაღლებს ჩვენს ინსტიტუტში უკვე 87 ექიმი, გარდა ტფილისის იმ ექიმებისა, რომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შეიძლება მოეწყოს წარმოების მოუწყვეტლივ.

ასეთი მუშაობის ჩატარება სავსებით შესაძლებელია, მაგრამ საჭიროა, რომ პროვინციის ჯანინსპექტორებმა დროულად და სათანადო რაოდენობით მოავლინონ ინსტიტუტში მსმენელები და არ განმეორდეს ის, რასაც სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა წინათ და რასაც ჩვენ არ შეგვიძლია არ ვუწოდოთ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმის შეუფასებლობა. მთელი რიგი პროვინციის ჯანინსპექტორები არ გზავნიდნენ ინსტიტუტში ექიმებს და ხან საექიმო კადრების სიმცირეს მოიმიზეზებდნენ, ხან კიდევ მოიწერებოდნენ შემდეგი სემესტრისათვის გამოვგზავნითო. ეს ხდებოდა, მიუხედავად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო სამმართველოს არაერთხელ გაგზავნილი მიწერილობისა.

იმედია მომავალში ეს აღარ განმეორდება. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ი. სტალინის სიტყვების შემდეგ მე-17 პარტყრილობაზე ექიმთა კადრების მომზადების შესახებ და საკავშირო ცაკის 1934 წ. 3 სექტემბრის დადგენილების შემდეგ ასეთი შეუფასებლობა ექიმის კვალიფიკაციის ამაღლების საქმისა პირდაპირ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს

„კადრები სწყვეტენ ყველაფერს“, სთქვა ამხ. ი. სტალინმა და სწორედ საექიმო საქმეში კადრების მნიშვნელობა სხვა დარგებზე ნაკლები არ არის, თუ არა მეტი. თეორიულად მომზადებული და პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილი ექიმია საჭირო იმისთვის, რომ სათანადო კვალიფიკაციის დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს მშრომელ ხალხს, ქალაქის მუშებს და სოფლის კოლმეურნეს. მოუმზადებელსა და გამოუცდელ ექიმს კი სარგებლობის მაგიერ ვნების მოყენება შეუძლიან მინდობილი ავადმყოფისათვის.

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმაც უნდა გადაათვალიეროს თავისი წარსული მუშაობა, სადაც მიღწევებთან ერთად, რა თქმა უნდა, ნაკლიც არის და ეს ნაკლი მომავლისათვის გასასწორობ.

ინსტიტუტისათვის საჭიროა საკუთარი კლინიკური ბაზების შექმნა. ჯერჯერობით ინსტიტუტს მხოლოდ ერთი საკუთარი ბაზა აქვს, რენტგენოლოგიაში, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. სხვა საგნების ჩასატარებლად ინსტიტუტი სარგებლობს მედინსტიტუტის კლინიკებით რომლებიც თავისთავადაც დატვირთულია სტუდენტებთან მუშაობით.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მსმენელ ექიმთა ყოფაცხოვრებით პირობების კარგად მოწესრიგებას და მათ კულტურულ მომსახურებას

ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს მივლინებულ ექიმთათვის საერთო საცხოვრებელი, სადაც მათ შეეძლებათ კულტურულად იცხოვრონ სამეცნიერო მივლინების დროს. იქვე უნდა მოეწყოს სასადილო, სადაც მივლინებულ ექიმს შეეძლება იაფ ფასად მიიღოს ჯანსაღი და კარგი კვება.

შემდეგ ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს კარგი წიგნთსაცავი, სადაც შეგროვილი უნდა იყოს სამედიცინო-სამეცნიერო თანამედროვე ლიტერატურა მედიცინის ყველა დარგიდან—ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზედაც. ინსტიტუტთან უნდა მოეწყოს აგრეთვე კარგი სამკითხველო, სადაც რაიონებიდან ჩამოსულ ექიმებს შეეძლებათ წაიკითხონ თანამედროვე სამედიცინო პერიოდული გამოცემანი.

დიდი და ძნელი საქმეა მოსაწესრიგებელი, მაგრამ იმედია, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფართო დახმარებით შესაძლებელი გახდება ამ დიდი და პასუხსაგები საქმის დაძლევა.

პროფესორები: ილ. ქოჩიაშვილი, შ. მიქელაძე, გრ. მუხაძე, ნ. ყიფშიძე, ივ. კონიაშვილი, ს. ოდიშარია, ს. კანდელაკი, ბ. ღოღობერიძე.

დღეს იწყება თავდაცვა-ავიაქიმის საკავშირო ესტაფეტა

დღეს იწყება თავდაცვა - ავიაქიმის სრულიად საკავშირო ესტაფეტა მარშრუტით ტფილისი—მოსკოვი და იმავდროულად მარშრუტით მოსკოვი — ტფილისი.

თავდაცვა - ავიაქიმის ამ ესტაფეტის მიზანია აეროკლუბების მიერ ჩატარებული მუშაობის ურთიერთ გაცნობა. ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების 15 აეროკლუბი; ამიერ - კავკასიიდან მონაწილეობას მიიღებენ ტფილისისა და ბაქოს აეროკლუბები.

ტფილისიდან ესტაფეტა მიაქვთ ტფილისის აეროკლუბის საუკეთესო ახალგაზრდა მფრინავს **მ. გოგრიჭიანს** და ავიაციის ტექნიკოს **ალ. ნიკურაძეს**, ბაქოდან ესტაფეტას წაიღებენ მახაჩკალაში და ამავე დროს მოსკოვიდან ჩამოტანილ ესტაფეტას ჩამოიტანენ ტფილისში — ბაქოს აეროკლუბის მფრინავები **მამედოვი** და **აგუდარინი**.

ესტაფეტას მოეწყობა შეხვედრას ყველა აეროდრომზე.

□

39 ახალი ტრაქტორი

მიმდინარე კვარტალში საქართველოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მიიღებენ 39 ახალ ტრაქტორს და 23 ავტომანქანას.

გურჯაანის მტს-ი მიიღებს 7 ახალ ტრაქტორს, თელავის—3, ქუთაისის, სენაკის, ოჩემჩირის, ზუგდიდის და ლანჩხუთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები თითო ტრაქტორს, ბორჩალოს, ყარაიას და ლუქსემბურგის მტს-ები 11 ცალ სათოხნ ტრაქტორს „უნივერსალ № 1“, გორისა და კასპის მტს-ი 15 ტრაქტორს „უნივერსალ № 2“.

სენაკის, ოჩემჩირის, ბორჩალოს და სხვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მიიღებენ თითო ავტომანქანას; აგარის, გორისა და კასპის მტს-ები ორ-ორ მანქანას.

□

ქართული პოეზიის დეკადა აზერბეიჯანში

აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა გაეცნო საქართველოში მოწყობილ აზერბეიჯანის პოეზიის დეკადის შედეგებს და ეს შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისადმი გამოგზავნილ წერილში აზერბეიჯანის მწერალთა კავშირი მადლობას უძღვნის მას დეკადის საუცხოვო ორგანიზაციისა და აზერბეიჯანის პოეტების გულთბილად მიღებისათვის.

— ჩვენ იმედი გვაქვს,—სწერს აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირი,—რომ სექტემბერ-ოქტომბერს ბაქოში ვიხილავთ საბჭოთა საქართველოს პოეტებს ქართული პოეზიის დეკადის ჩასატარებლად. ასეთი მოგზაურობით და შეხვედრებით უფრო მეტად უნდა განმტკიცდეს ჩვენი ინტერნაციონალური კავშირი.

კოლხეთის დაშრობილი მიწების დასახლება

29 ივლისს სოფ. ხობში შესდგა მთავრობის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ჭალადიდის სატყეო აგარაკის დაშრობილ მიწებზე ხობის რაიონიდან 150 მეურნეობის გადასახლების საკითხი.

კომისიის გადაწყვეტილებით, გლეხთა მეურნეობების ნაწილი დასახლებული იქნება მდინარე ხობის მახლობლად გაყვანილი თხრილის იქით მდებარე მიწებზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი კოლხიდმშენის მიერ ჭალადიდის აგარაკში ამოშრობილ მიწებზე. გადასახლებისათვის გამოყოფილია ფონდი 150 ათასი მანეთის რაოდენობით. აქედან 50 ათას მანეთს გაიღებს საქართველოს სახკომსაბჭო და 100 ათას მანეთს კოლხიდმშენი. თვითეულ გადასახლებულ მეურნეობას მიეცემა ათასი მანეთი გადასახლებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის; ამასთანავე მათ რჩებათ ყველა საკარმიდამო ნაკვეთი ძველ ადგილას.

ჭალადიდის აგარაკში ამოშრობილ მიწებზე გადასახლებული მეურნეობა მიიღებს 3 ჰექტარ ნოყიერ მიწას. უკვე დაიწყო 80 მეურნეობის გადასახლება ხობის ნაპირების იმ სოფლებიდან, რომლებსაც წყალდიდობა ემუქრება. მთავრობის კომისია ფართო დახმარებას უწევს გადასახლებულებს ტრანსპორტით, სახლების დაშლით, ახალ ადგილზე გადატანით და სხვ. გადასახლებულებს აქტიურ დახმარებას უწევენ ხობის რაიონის კოლმეურნეები.

ჭალადიდის აგარაკში ამოშრობილ მიწებზე გადასახლებული მეურნეობანი განთავისუფლებული არიან ყოველგვარი გადასახადისგან სამი წლის ვადით.

უნივერმაღი გაიხსნება აგვისტოს შუა რიცხვებში

ტფილისის უნივერსალური მაღაზიისათვის, რომელიც ქორესის ქუჩაზე ეწყობა, მიღებულია 20 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი. მათ შორის ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვს მანუფაქტურას, ტრიკოტაჟს და შეკერილ ტანსაცმელს. გზაშია კიდევ ორი მილიონი მანეთის საქონელი.

ტფილისის უნივერსალური მაღაზიის გახსნა მოხდება აგვისტოს შუა რიცხვებში.

მთავრობის სასახლის პროექტების კონკურსი

საქართველოს მთავრობის სასახლის მშენებლობის სამმართველოსთან არსებულმა საკონსულტაციო ბიურომ შეაჯამა საქ. მთავრობის მიერ სასახლის კორპუსების მხატვრულად გაფორმებისათვის (რუსთაველის პროსპექტიდან) გამოცხადებული დამატებითი კონკურსის შედეგები. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის საბჭოს მე-10 საპროექტო სახელოსნო (არქიტექტორ კოკორინის და ლეჟავას პროექტი), საქართველოს მთავრობის სასახლის მშენებლობის საპროექტო სახელოსნო (არქიტექტორ ნეპრინცევის ორი ვარიანტი), არქიტექტორი ჯანელიძე და არქიტექტორი ურუშაძე.

კონსულტაციამ სცნო, რომ ყველა წარმოდგენილი პროექტიდან კონკურსის მონაწილეთა წინაშე დასახულ ამოცანებს აკმაყოფილებს არქიტექტორ კოკორინის და ლეჟავას პროექტი და ნეპრინცევის პირველი ვარიანტი. შედარებით უკეთესად იქნა ცნობილი კოკორინის და ლეჟავას პროექტი.

ოქტომბერი 7, 9, 11	ხმოვანი ფილმი—ა რ ი ს მ ე ტ რ ო
დამკვრელი (საზ.-საზამთ.) 6-30, 8, 9-30 11	საზაფხ.—ც ო ც ხ ა ლ ი ღ მ ე რ თ ი საზამთ.— პირველი სიყვარული
ტემპი საზაფხ. ხმოვანი 9, 11	ხმ მოლაპ ფილმი—ჟმ. იორგენის დღესასწაული პრ. გარეშე—ხმ. კინო-მიმოხილვა—ერთი დღე ბათომში
რ. ლიუქსემბურგის სახ 7, 9, 11	ხმოვანი ფილმი ახალი გულივერი
ეთერი საზაფხ. 9 10-30	მხატვრული ფილმი უცხოეთის ნაწარმოები მილორდი მაკ-გრიუ
„26“-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ.—მხატვრული ფილმი—ქალი ტყეში
კომინტერნი საზაფხ. თიდუეიმში 9, 11	მხატვრული ფილმი გ ი ქ ო რ ი

გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობის

ს ტ ა მ ბ ა

ღებულობს მოწაფეებს

მოწაფეები მიიღება ორივე სქესის 18 წლიდან.

პირობების გაგება სტამბის ადმინისტრაციასთან—კამოს ქ. № 68.

ტფ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი (ცეკავშირის საქმეებზე) ამხ. შ. ჩიქაძე

აცხადებს, რომ 8 აგვისტოს დღის 3 საათზე, ქ. ტფილისში—პეტრიაშვილის ქ. № 1-ში

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

„სამტრესტის“ კუთვნილ ღვინოს 25 600 ლიტრს შეფასებულს 64 000 მან. გაიყიდება ტყვიავის კოოპერატივის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად სახარბიტრაჟოს ბრძანებისა № 1—364 25-27—IV—35 წ. 9106

ქუთაისის სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

აცხადებს, რომ 9 აგვისტოს დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქ. № 158

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ქუთაისის აბრეშუმის ფაბრიკის ხუთი ტონა აბრეშუმის პარკი „დომბალი“ შეფასებული 50.000 მან., ორი ტონა თეთრი „ჩხარი“ შეფასებულია 25.000 მან., ათი ტონა შავი „ჩხარი“ შეფასებულია 30.000 მან. ზაკგოსტორგის ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად არბიტრაჟის № 330-ის ბრძანებისა.

9098 სას აღმასრ. ვლ კანდელაკი.

სპორტი

ა.-კ. ორი ახალი რეკორდი

1 აგვისტოს [illegible] ტფილისის საბჭოს აუზში მოხდა საფარჯიშო შეჯიბრება ცურვაში. მისი მიზანი [illegible] საკავშირო შეჯიბრებისათვის. წყალჯომარდობის საკავშირო [illegible] გამართება 12 აგვისტოს [illegible].

საფარჯიშო ცურვის დროს დამყარებული იქნა ა.-კ. ორი ახალი რეკორდი.

100 მეტრზე ცურვაში „ბრასის“ სტილით ბაქოელმა **კრიუკოვმა** დაამყარა ამიერ-კავკასიის ახალი რეკორდი, გვიჩვენა დრო — 1 წუთი და 21,5 წამი (წინანდელი რეკორდი უდრიდა 1 წუთს და 25,3 წამს). ამხ. კრიუკოვი — ბაქოს ტრამვაის ზეინკალია.

ამიერ - კავკასიის ახალი რეკორდი იქნა აგრეთვე დამყარებული 100 მეტრზე ცურვაში „ბრასის“ სტილით ქალებისათვის. 22 წლის ეკატერინე **კრაპივამ** (ტფილისის წითელი ჯვრის ქარხნის მუშა-ქალი) ეს დისტანცია გასცურა 1 წუთსა და 44,8 წამში. წინანდელი რეკორდი — 1 წუთი 47,1 წამი აგრეთვე ამხ. კრაპივას ეკუთვნოდა და დამყარებულ იქნა წყალჯომარდობის შეჯიბრებაზე ბაქოში მიმდინარე წლის ივლისს.

100 მეტრზე ცურვაში თავისუფალი სტილით ამხ. **ნოსენკოვმა** გვიჩვენა საუკეთესო დრო — 1 წ. 8,5 წამი. ის 1.4 წამით უფრო ადრე მივიდა ფინიშთან, ვიდრე ამ შეჯიბრებაში მონაწილე ბაქოელი კოდროუშკინი, რომელმაც ბაქოში ჩატარებული შეჯიბრების დროს ამიერ - კავკასიის ახალი რეკორდი დაამყარა ცურვის ამ დარგში.

დიდი ინტერესით ჩაიარა ვაჟთა შეჯიბრებამ ცურვაში თავისუფალი სტილით 1000 მეტრზე. ცურვის ერთერთმა მონაწილემ — ამხ. **ბორისენკომ** (სოხუმი) საუცხოო დრო გვიჩვენა — 15 წ. 59,1 წამი. ეს 18,4 წამით სჯარბობს ამიერ-კავკასიის რეკორდს, რომელიც ამას წინათ ამხ. კუცტევმა დაამყარა.

□

შემთხვევები

# მამის მკვლელი. 29 ივლისს ზესტაფონის რაიონის მილიციაში მივიდა მოქ. ელპიტა აბესაძე და განაცხადა, ჩემმა ქმარმა ნ. გ. აბესაძემ თავი მოიკლაო. კვლევაძიებით გამოირკვა, რომ ნ. გ. აბესაძე—მოკლული იყო. შემდგომი გამოძიებით დადასტურდა, რომ მოქ. აბესაძის მკვლელობა ჩაიდინა მისმა 14 წლის ქალმა თამარმა, რომელიც წაეჩხუბა მამას და ნაჯახით სასიკვდილოდ დასჭრა თავში. ნ. გ. აბესაძე იქვე გარდაიცვალა თამარ აბესაძე გამოტყდა მამის მკვლელობაში. ელპიტა და თამარა აბესაძე პასუხისგებაში მისცეს.

# სისხლის აღება. დუშეთის რაიონის სოფ. მეჯინაურში ს. გ. გვრიტიშვილმა სისხლის აღების ნიადაგზე ხანჯლით თავი მოკვეთა მეზობლის ი. ლ. გვრიტიშვილის ხუთი წლის ბიჭს და უკვე მოკლულ ბავშვს კიდევ ხუთი ჭრილობა მიაყენა. მკვლელმა თან გაიყოლა თავისი ორი მცირეწლოვანი ძმა და მიიმალა. მის შესაპყრობად მიღებულია ზომები

# გაუფრთხილებელი სვლა. სადგურის მოედანზე № 1 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, (ვატმანი ა. ხ. გასპაროვი), დაეჯახა ა. ი. ეღიანის (ლოტკის ქუჩა № 293) ლინეიკას, რომელიც დამსხვრია. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ვატმანი პასუხისგებაშია მიცემული.

□

პარტკალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ 5 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე რაიკომში, „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში და მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მშენებლობაზე შესდგება აგიტატორთა სემინარი. დღის წესრიგი: **ამხ. ბერიას მოხსენების მნიშვნელობა და პასუხი აგიტატორებს შეკითხვებზე ამხ. ბერიას მოხსენების გამო.**

ყველა აგიტატორის გამოცხადება სავალდებულოა.

ტფილისის მშენარეთა აკადემიურფუკასთან და მავნებლებთან მებრძოლ ტექნიკუმში

1935-36 წ. მიიღებიან არასრულ საშუალო სკოლა დამთავრებულნი ორივე სქესის მოქალაქენი, 16—30 წ.

გამოცდები 1 სექტემბრიდან ქართულში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში და საზმეცნიერებაში. საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა: განათლების, დაბადების, სოცმდგომარეობის, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, ხმის უფლების, ორი ფოტოგრაფიული სურათი.

განცხადებათა მიღება 1-ლ ივნისიდან 30 აგვისტომდე. მიღებულები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით და ნაწილობრივ ბინით. ტფილისი, პასტერის ქ. № 7.

273 დ ი რ ე ქ ც ი ა.

უახლოესი მეგობრები: კოტე ბარამიძე, ჟორა ფეშულაია, დათიკო გოგოლაშვილი, შალიკო თოდრია მწუხარებით ვიუწყებით ინდუსტრიალური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტის ძვირფასი

თინიკო გალიცკაიას

უდროოდ დაღუპვას მოსკოვში. 9100

დედა ეკატერინე, დები: ბაბო კვაჭაძე, თამარა ჩაჩუა, ფეფო სიმონიშვილი ქმარშვილებით, რუსუდან ბაქრაძე, ძმები: ლუკა, პეტრე ბაქრაძეები ცოლშვილით იუწყებიან

ნინა ურუშაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ვაკე, კოჩულეთის ქ. № 19. 5 აგვისტოს 5 ს. [illegible] 9095

ცეკავშირის მუშაკები: შ. დუგლაძე, ს. თოხაძე, შ. ქეიშვილი, გრ. გოგოლაძე, მ. იაშვილი, მ. მახარაძე, ე. კალანდაძე, ბ. ლომინაძე, ვ. ურბანოვიჩი, სამსონია, შ. კვირიკაძე, მწუხარებას გამოვსთქვამთ ხარაგოულის რაიკოოპკავშირის თავ-რის საუკეთესო ამხანაგის

ამხ. კალენიკე ბუხრაშვილის

დაკარგვის გამო. 9089

ტფილისის ავტო-ტრანსის სამკუთხედი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს შოფერ

შალიკო ჭალაგანიძის

უდროოდ დაკარგვის გამო. 9102

ორჯონიკიძის რაიპროფსაბჭო მწუხარებით იუწყება პროფესიონალური კავშირების ძველი მუშაკისა, ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის

ამხ. კალენიკე ბუხრაშვილის

დაკარგვას. 9091

ტრაქტორისტთა სურამის რესპუბლიკური სკოლის დირექცია და თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სკოლის თანამშრომელ არჩილ ურთქმელიძის დის

დარო ურთქმელიძე—ხაჩიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 6 აგვისტოს დ. სურამში. 91[illegible]

„სამტრესტის“ ორჯონიკიძის რაიდამამზადებელი პუნქტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყება ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის

ამხ. კალენიკე ბუხრაშვილის

დაკარგვას. 9092

დაწუხრებული [illegible] გრიგორი (ჟორჟი), მშობლები თებრო, კოლია გუნიები. პავლე, ლეილა ქოთავეები, კოლია ლიდა ინჯიები, კოლია კონტრიძე, იუწყებიან

თამარი გუნია—ბარბაქაძისა

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] ძიგურში (აბაშის რ.) 5 ს. 9104

დამწუხრებულნი: მეუღლე მაშიკო, მეუღლიშვილები პართენი ცოლშვილით და გრიშა თავბერიძეები იუწყებიან დაუვიწყარ

ქეთევან გიგოს ას. ბოლქვაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბუფერის შეს. № 6. 6 აგვისტოს 5 საათზე 9096

დამწუხრებული მშობლები: ნინა, გიორგი, და ნაზიკო, ბებია ნადია, ბიძები: აკაკი, ნექტარიოზი და პროკოპი, მამიდები: საშა, თამარა, ტატიანა ქმარშვილებით, ნინა და თინა ნაჭყეპიები მწუხარებით იუწყებიან

მერიკო გიორგის ას. ნაჭყეპიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მარანში 6 აგვისტოს. ანგ. 356

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34 ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, ხამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8459